ნოემბერი
1931 წ.
№ 71

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
NOBEMBRE
1931—№ 71

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—ეროვნული ღირსება.
მგზავრი—წერილი საქართველოდან.
ნოე რამიშვილის მკვლელი სენის სამსჯ. წინაშე.
საბჭოთა დემპინგი და ფინანსური კრიზისი.
საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა.
რას სწერენ ბოლშევიკებზე.
ელ.—წერილი პრაღიდან.
საქართველოს საკითხი.
საქართველოს ამბები.
წერილი რედაქციის მიმართ.

ე რ ო ვ ნ უ ლ ი ღ ი რ ს ე ბ ა

მთელი სამი დღე, 12-14 ნოემბერი, საფრანგეთის ყურადღება მიქცეული იყო სამოსამართლო სასახლისკენ პარიზში. სადაც სენის 12 ნაფიც მსაჯულთა წინაშე ირჩეოდა დიდი პოლიტიკური საქმე ჩვენი დაუვიწყარ ნოე რამიშვილის ვერაგ მკვლელობისა. ფრანგული გაზეთები, ბევრი არა ფრანგულიც, დღიდან დღე აცნობდენ უამრავ მკითხველთ პროცესის მსვლელობას, განვითარებას, ზოგ დამახასიათებელ წვრილმანსაც კი.

და ამ პროცესის დროს ლოდიკურის თანდათანობით იშლებოდა დამსწრეთა წინაშე წამების შარავანდედით გაბრწყინვებულ ქართველი ერის თავგადასავალი, მისი გმირული წარსული, საშინელი აწმყო და საიმედო მომავალი. ნოე რამიშვილში, ასე ვსთქვათ, განსახიერდა ქართველი ერი, პირველის ცხოვრება ეპიურათ მოგვითხრობდა მეორის ცხოვრებას, პირველის წლები მეორის საუკუნოებს... ნოე რამიშვილი ფიანდაზად დაეგო თავის ერს, ასწია მისი პრესტიჟი განცვიფრებულ უცხოელის თვალში.

გლეხის შვილი, ღარიბი, სწავლის მოწყურნე, მებრძოლი, დევნილი, ლმობიერი მამა, გაუტეხელი, დაუღალავი, მოუსვენარი, წამებული—აი, ვინ წარმოგვიდგა წინ! მთელი პროცესის გასწვრივ ვერავინ გაბედა მისი ხსოვნის შელახვა, თვით იუდა-მკვლელიც იძულებული გახდა აღიარებინა ნოეს უანგარობა, მოპირდაპირენი ქედს იხრიდენ მისი ქვრივის წინაშე.

იუდა-მკვლელი, ვინ იყო ეს? ქართველი! რად, რა მიზეზით—ამათ ეკითხებოდა მას პარიზის ცნობილი ვექილი მორო-ჯიაფერი, პასუხი ვერ მიიღო, თუმცა იგი ისედაც ცხადი იყო მისთვის. მხოლოდ საქართველოს მოსისხლე მტერს შეეძლო მის თავდადებულ შვილის მოკვლაო—ასკვნიდა ის.

და განა დანაშაულის ჩადენის უმალ არ წამოიძახა მკვლელმა ტორესის სახელი? ვინაა ტორესი! მოსკოვის ვექილი, მის შავ საქმეთა გამთეთრებელი, საქართველოს და ქართველ ერის პროფესიული გამქექი, არა ერთხელ დამარცხებული ამ «სასახელო» ხელობაში.

ასევე იყო ეხლაც, ტორესი დამარცხდა, დამარცხდა მოსკოვი და გამარჯვება საქართველოს და მისთვის დაღუპულ ნოე რამიშვილს ხვდა.

მტერმა ვერ იმოწმა ქართველები... რას ვამბობთ? —გაჩნდა ორი «ქართველი»—სათაკილო გამონაკლისი საერთო წესიდან. საიდან გაჩნდენ? «ახალი ივერიიდან»—გვამცნევს სტენოგრამა. მერე რაა საერთო წმინდა ივერიასა და გათხუპნულ მოსკოვს შორის?

მეტია კითხვები, პასუხიც. რა შვება უნდა ეგრძნო «ახალი ივერიის» ბელადს, როცა ის მორო-ჯიაფერმა გაანთავისუფლა მოწმობიდან! ჩვენ ვაფასებთ ამ ფრანგის ლმობიერებას, ტაქტს. ეროვნულ პარტიის ყოფილი თავმჯდომარე, დამფუძნებელ კრების ყოფილი წევრი... ეხლა წარმოიდგინეთ ის ტორესის გვერდით სამსაჯულოს წინაშე! გადარჩა, მივუოცავთ!

ტორესი ხომ მაინც მეტყველობდა, ვისი შთაგონებით, ვისი სიტყვებით, ნუახსებით? იქნება ეს მაინც გვითხრას ტორესის მთავარმა მოწმემ? საქართველოს დამოუკიდებლობა გარუსებულ ქორდანია-ჩხეიძე-წერეთელ-რამიშვილის მოჭორილი ზღაპარიაო—ვისი შთაგონებით ამბობდა ამას ტორესი, მოსკოვის თუ «ახალი ივერიის»?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაა ეროვნული ღირსება, პატივმოყვარეობა, სახელი? რად მოუნდა ასეთი პოლიტიკური სიკვდილი? ეჰ, მკითხველო, ჩვენ არ გვახარებს ეს, პირიქით.

ვინა ხარ შენ?—ეკითხება სამსაჯულო მეორეს. სტუდენტიო—უპასუხებს. რა ამოწმა მან? მოსკოვი, მისი აგენტები არაფერ შუაშია რამიშვილის მკვლელობაშიო; ხოლო საქართველოს საელჩო, ეს ერთად ერთი დიპლომატური წარმომადგენლობა, ქართული მიწის ხელუხლებელი ნაკვეთი, მის სახელმწიფო დროშის და ღერბის მატარებელი, საელჩო, აი ვინაა პასუხისმგებელიო!

გესმის, ყმაწვილო, რა ჩაიდინე? ვინ დააბეზღე, ვინ დაასმინე, ვინ ისარგებლებს შენს ჩვენებას? გინდოდა ეს? დაუშვათ, არ გინდოდა, სიბრიყვით მოგვიდა, ჩაგაგონეს! სად?—ტორესის კაბინეტში თუ «ახალი ივერიის» რედაქციაში? შენ სხვებიც გაეცი, შენი ტოლნი, ნუ თუ ისინიც განიმეორებდენ შენს ნათქვამს? მაშ ვინ ყოფილხართ, რა ყოფილხართ? სტუდენტიო—ამაყათ გაიძახით, მაშ ასეთი შვილი ეზრდება მამულს?

კიდევ კითხვები... ეხლა შენ უპასუხე, ჩვენ ვარჩევდით ვცდებოდეთ, არ გვინდა დავაფასოთ შენი საქციელი, არც საქართველომ გვინდა იგი დაიფასოს, დეე გაპატიოს, დეე მოინანიო, დაიმსახუროს.

ნუ ვეძებთ მოტივებსაც. სიძულვილი, მტრობა? ვსთქვათ გქონდათ ორივეს, მერე სადაა ქართველური რაინდობა, ვაჟკაცობა, ვინ იძიებს შურს საფლავის წინ?

ტყუილა არ უთქვამთ მეგრელებს, კაცი რა კაცია, თუ მტერი არ ჰყავსო. ნოე რამიშვილსაც ჰყავდა მტრები, კიდევ მეტი მეგობრები, ის იყო მომქმედი, იდგა ბრძოლის წინა რიგებში, ჰქონდა საქმე ხალხთან, ცალკე პირებთან, ყველას ვერ მოიმადლიერებდა, ცხადია.

მაგრამ რას ნიშნავს ყველა ეს გარეშე მტერთან შედარებით? მან იმსხვერპლა ნოე რამიშვილი, ათასები სხვა. ქართველ ერის ძალა მის მორალშია, მის ზნეობრივ სიფაქიზეში, უმწიკვლო მიზნებსა და საშუალებებში.

მათ დაივიწყეს ეს. მით უფრო ვალდებული ვართ გვახსოვდეს ჩვენ, ქართველ პოლიტიკურ ემიგრაციას, ხელმძღვანელთ და მათ მიმყოლთ.

ორი ათეული წელიც არ გასულა, რაც პირველათ გაისმა ქართველის სახელი საერთაშორისო ასპარეზზედ—მას წინეთაც იცნობდენ, დაავიწყდათ—და ამ მოკლე ხანში მან მოიხვეჭა სახელმწიფოებრივი ერის სახელი. მოსკოვმა ვერ შესძლო პოლიტიკურ რუკიდან მისი ამოშლა, ვერ შესძლებს თითო-ოროლა გამდგარიც. ხშირათ გაისმოდა პროცესზედ ფრანგების ხმა, ადარებდენ სხვა პროცესებს და ამბობდენ: რა ყოფილან ქართველები, სად პატარა ერი და სად ასეთი დიდსულოვნება, სიმტკიცე, ეროვნული ღირსება!

ჩვენ დაგვრჩენია თქმულიდან მხოლოდ ერთი დასკვნა გავაკეთოთ. პარიზის პროცესმა და ჩვენმა გამარჯვებამ ერთხელ კიდევ დაგვანახა, რამდენათ საჭირო და აუცილებელი ყოფილა ერის მთლიანობა შინ და გარეთ, ერთი ფრონტი, ერთი სიტყვა, ერთი საქმე.

ასეთ სიმაგრეს მტერი უმალ ტვინს შეაქცევს, ვინემ გაიმარჯოს. ის ვერ გამონახავს ჩვენს რიგებში მოღალატეს, ვერ გაბედავს დაქირავებული ხელით მკვლელობის მოხდენას.

ჩვენ უნდა ვერიდოთ ეგრ. წოდ. მაკედონურ მეთოდებს პოლიტიკურ ბრძოლაში, დაგვშლის, ამოგვაგდებს, გაგვანიავებს. ავიღოთ მაგალითი ჩვენი ერისგან, აბა შეხეთ, რა ერთსულოვნათ უმაგრდება ის მტერს, როგორ გმირულათ იტანს მის ლახვარს, რამდენი სიმამაცე, შნო და სილამაზეა მის განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

რა ვართ ჩვენ, პოლიტიკური ემიგრანტები, თუ მოვწყდით მშობელ ერს, დავივიწყეთ ჩვენი მოვალეობა მის მიმართ, გავხდით უფესვონი, უპასუხისმგებლონი?

უცხოეთი ვერ ხედავს ქართველ ერს, ის ჩვენს მაგალითზედ აშენებს ხშირათ თავის აზრს მასზე. ამიტომ ჩვენს სიგლახეს, დაბეჩავებას ის უნებლიეთ ქართველ ერს აწერს, ჰკარგავს მის მიმართ თანაგრძნობას. ამით აგებს ერი, მისი წმინდა საქმე და ჩვენც, ემიგრანტები, ხომ მთლათ წყალწაღებულნი ვხდებით.

ვერიდოთ ასეთ არასახარბიელო ბოლოს, ეროვნული ღირსება ამას გვიკარნახებს.

წერილი საქართველოდან

1. ბლესთა აჯანჯებანი.

ნაძალადევი კოლექტივიზაცია საქართველოში ტარდება ტეროორის ქვეშ, ამ რიგათ ბოლშევიკების ცნობებით ჩატარებულია კოლექტივიზაცია 70 პროცენტითო.

სინამდვილეში კი მოხდა მთლიანი განადგურება იმ ნაჩვენებ 70 პროც. საქართველოს მოსახლეობისა და დარჩენილ 30 პროც. კი განადგურებულია წინა წლებში. როგორ მოხდა ეს? ის 30 პროც. საქართველოს მოსახლეობისა ორი წლის წინ ჩაიგდეს ხელში მეურნეობის და კაცობრიობის პარაზიტებმა, წინათ სოფლის მოხეტიალე, დუქნებში მგზავრიდან ჭიქა ღვინის მოლოდინში მყოფ ნაძირალებმა, დღეს მათ დაუდგათ დრო ხელსაყრელი—მოვლინებით მათებრ მოხეტიალე, უსაქმურ ხალხისა—ბოლშევიკების სახით, გამოგლიჯეს ხელიდან გლეხს ინიციატივა, დაიწყეს მათ მამულზე თარეში, შექნეს კოლექტივები და არტელები. დიდი თანხების, დახმარების მიღებით, ეს ყოველივე გაკეთდა, სტალინის, მოსკოვის დამქაშების წინასწარ დამუშავებულ გეგმით, ვინაიდან სტალინმა, მოსკოვმა კარგათ იცოდენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ძარცვა ქალაქის, რაც რამდენიმე წელიწადია დაწყებულია, გათავდებოდა, ნაძარცვი კი მათ გამოელეოდათ და თავიანთ არსებობის კიდევ რამოდენიმე ხნით საუზრუნველყოფოდ წინასწარ ნიადაგი მოამზადეს. უკვე ამ წელიწადში გადაწყვიტეს, დაკვრითი წესით მოასწრონ სოფლის ძარცვა, ამისათვის ბოლშევიკების მიერ იქნა შექმნილი ბრიგადები (მოსკოვის ჩინოვნიკებიდან შემდგარი) და სხვადასხვა დაპირებებით დაგზავნეს სოფლად, რათა სოფლის ალალი მეურნე მოეტყუებიათ და მეურნეს დაენებებია მათთვის მთელი მისი ნაამაგარი და საშვილის-შვილოთ გაშენებული ბაღები, რასაც უწოდეს «კოლექტივიზაცია» და ამ რიგათ ზოგს ნებით და ზოგს ძალით აკრეკვიეს თავი კოლექტივებში. მაგრამ, როდესაც კოლექტივებმა ვერასფერი მისცეს გლეხებს და პირიქით მიისაკუთრეს გლეხის ნაწარმოებთან ერთად ინვენტარი და სამუშაო საქონელი (ზოგი მოსკოვის ჩინოვნიკებისათვის გამოსაკვებათ და უმთავრესადკი ევროპისათვის საპროპაგანდოთ). ამავე დროს მოუხდათ ბეგარის სახით უმეტეს წილად სხვა სახ. მამულებში მუშაობა, ევროპისათვის საექსპორტო საქონლის დამზადება (ეს იმ დროს, როდესაც ევროპიდან არასფერს მანუგეშებელს არ ხედავს) და თანაც უსასყიდლოთ—ამ გარემოებამ აგრძნობინა, როგორც საქართველოს აგრეთვე მთელ კავკასიის გლეხობის საბოლოოთ, რომ ისინი ბოლშევიკებმა გაიხადეს მონებათ და მათ აქვთ შექმნილი ბატონყმობის დროსაც კი გაუგონარი რეჟიმი, რამაც იძულებული გახადა ღირსება და უფლება ახდილი გლეხობა გაჭრილიყო ტყეში იარაღით, შებრძოლებოდა თავისუფლების მოსაპოვებლად, ბოლშევიკების აგენტებს. ამ გარემოებამ გამოიწვია სამკვდროსასიცოცხლო ომი არსებულ «მუშათა და გლეხთა» დიქტატურასთან—მუშა და გლეხების მხრივ და დაიწყო მაის-ივნისის თვეებში პარტიზანული მოქმედება—იმერეთ სამეგრელოში: ჭიათურა, შორაპანი, ზესთაფონი, ლეჩხუმი, ზუგდიდის მაზრა, ბორჩალო და დუშეთი. ჭიათურაში აჯანყებულთა რაზმი თავს დაესხა პოლიტბიუროს და ადგილობრივ შეიარაღებულ ძალებს და რამოდენიმე ჯგუფი განაიარაღეს, ხოლო ოპერაციის დროს ადგილი ქონდა შეტაკებებს, რამაც გამოიწვია მსხვერპლი ორივეს მხრივ, აჯანყებულებს დარჩათ დაჭრილი, რომელიც ტყვედ ჩაიგდეს ჩეკის აგენტებმა და როგორც დაჭრილი მოათავსეს ადგილობრივ საავადმყოფოში დარაჯების ქვეშ, მაგრამ, როდესაც გამოჯანსაღდა და მოაწია დაკითხვის დრომ, კვლავ დაესხა თავს აჯანყებულთა მცირე ჯგუფი ჩეკის მიერ დაყენებულ დარაჯებს და გაიტაცეს ამხანაგი. ასეთივე მდგომარეობა იყო სამეგრელოში, ლეჩხუმში, ზუგდიდის მაზრაში და გალში. აჯანყებულებმა დაიკავეს ანაკლია და იქ გამაგრდენ—ტფილისიდან გამოგზავნილ ხაკგეპეუს რაზმები იქნა დამარცხებული, მათი ხელმძღვანელი ჩეკისტი რუსი სროლის დროს მოკლული იქნა, რომლის წაღება პანიკით მოცულმა ჩეკისტებმა ვერ მოასწრეს და ეს მკვდარი ჩადვეს კვერცხების ყუთში და გადაუგზავნეს (ამანათის სახით) ტფილისში ბერიას.

ლეჩხუმში ცაგერის რაიონში დაიწყო ივლისის თვეში, მას მიემატა ქვემო სვანეთი და აჯანყებულთა რიცხვი უდრიდა 700 კაცს. ცაგერში 200 კაცისაგან შემდგარი რაზმი გაუმკლავდა ზაკგეპეუს რაზმს და რუსის ცხენოსან ესკადრონს, რომლების ნაწილი აჯანყებულების მიერ იქნა განიარაღებული. სოფელ ორბელში გარდა გლეხებისა ტყეში გაიქცა 80 კომუნისტი—მექვენის თემის აღმასკომის თავმჯდომარე თეოფილე სვანიძის ხელმძღვანელობით.

აჯანყებულებმა გაანადგურეს კოლექტივები და მათ ხელმძღვანელებს აყარეს იარაღი, ნაწილი ხელმძღვანელებისა (კომუნისტები) შეუერთდა აჯანყებულებს. ორი თვის განმავლობაში ადგილი ქონდა რეგულიარულ ომს, რაც დამთავრდა აჯანყებულთა ფიზიკური მარცხით. ადგილებზე იქნა გაგზავნილი რუსის პოლკების კადრები (ქართულ პოლკებს ნდობა არ აქვთ) და აწარმოებდენ ბრძოლას აჯანყებულთა წინააღმდეგ. რუსის ნაწილები გ. პ. უ-ს აგენტების ხელმძღვანელობით—ბოლშევიკები ებრძოდენ აჯანყებულებს მთელ მათ განკარგულებაში არსებულ საშუალებებით, გარდა გაზებისა. ამ რიგათ აჯანყებულთა რაზმები—ნაწილი შეიპყრეს—ნაწილი დახოცეს და ნაწილი კი დღესაც გაჭრილია მთებში და აწარმოებს თავდაცვას.

ასეთივე მდგომარეობაა დუშეთში. იქ დაიწყო მოქმედება ზამთრიდან და ამ ზაფხულში, როგორც იქნა, რუსის პოლკებმა ისინი განდევნეს მთებში და თვითონ მოიკავეს ვაკე ადგილები, ამ რიგათ იქ აჯანყებულთა და ბოლშევიკების რაზმებს შორის მოქმედებას აქვს პოზიციური ხასიათი—ჯარი არ მიდის მთებში დიდი მსხვერპლის გაღების გამო და იკავენ დასახლებულ ადგილებს აჯანყებულთა რაზმების შემოსვლისაგან. ამის გამო გაუგონარ რეპრესიებს აქვს ადგილი—ყლეტას და დაპატიმრებებს; დახოცილთა რიცხვის გამორკვევა შეუძლებელია, ხოლო დაპატიმრებულთა რიცხვი საქართველოში ამ ორი თვის განმავლობაში აღემატება 6.000 კაცს, რომლებისთვისაც, როგორც ხმებია, მოსკოვი უნდა ეძებდეს განსაკუთრებულ ლაგერს.

აჯანყებულთა ლოზუნგია «გლეხს თავისუფლება და საკუთრება». აღსანიშნავია შემდეგი: როდესაც აჯანყებულთა რომელიმე წევრი უვარდება მტერს, ის არ მიმართავს—თავის სახსნელად კომბინაციებს და ბოდიშს, პირ-იქით ლაპარაკობს: «მე ვებრძვი მძარცველებს, რომლებმაც წამართვეს ყველაფერი და ვერც თვითონ გამოიყენეს; მე არ მესმის პოლიტიკა და სოციალიზმი—ეს თქვენ აშენეთ, ხოლო მე წამართვით ჩემი გუთანი, ხარი, ნაჭერი მიწის მოსავალთან ერთად და დამრჩა მხოლოთ სული, ამას კი არ დაგანებებთ უმსხვერპლოთოთ».

მგზავრი.

ნოე რამიშვილის მკვლელი სენის სამსჯავროს წინაშე

ნოე რამიშვილის მოკვლის საქმე ირჩეოდა სენის ნაფიც მსაჯულთა წინაშე პარიზში 12, 13 და 14 ნოემბერს.

სასამართლოს თავმჯდომარეობდა ბ. ბარნო, პროკურორის ადგილი ეჭირა ბ-ნ სიამის. მკვლელ ჭანუყვაძის დამცველათ გამოდიოდენ ცნობილი ადვოკატი ანრი ტორესი და დელატრი. ხოლო კიდევ უფრო სახელგანთქმული მორო-ჯიაფერი წარმოადგენდა სამოქალაქო მხარის, ქ-ნ მარო რამიშვილის ინტერესებს.

მკითხველს ახსოვს საქმის ვითარება, მოკლედ აღნიშნული საბრალდებო აქტში: 1930 წლის 7 დეკემბერს, ნოე რამიშვილი ს. მენაღარიშვილთან ერთად მიეშურებოდა პარტიულ კრებაზე, რომელსაც გობლენების ქუჩაზე ჰქონდა ადგილი. როცა მათ იტალიის მოედნიდან გობლენის ქუჩაში მიუხვიეს, ვიღაცამ ნ. რამიშვილს გვერდიდან რამდენიმე ტყვია დაახალა. ნ. რამიშვილი წაიქცა, ხოლო ს. მენაღარიშვილი ეცა თავდამსხმელს, რომელიც აღმოჩნდა ქართველი ემიგრანტი პარმენ ჭანუყვაძე, და დაიწყო ბრძოლა მათ შორის: მენაღარიშვილი სცდილობდა ჭანუყვაძის განიარაღებას, ხოლო უკანასკნელი პირველზე რევოლვერის მიმართვას და სროლას. მან გაისროლა კიდეც ორი ტყვია, რომელთ მიმართულება მოწმობს, რომ ორივე სწორედ მენაღარიშვილისათვის იყო დანიშნული. მაგრამ უკანასკნელმა შესძლო ბოლოს ჭანუყვაძის დამორჩილება. ამ დროს პოლიციის აგენტებიც მივარდნენ და ჭანუყვაძე დაატუსაღეს. ნ. რამიშვილი საავადმყოფოში წაიყვანეს ავტომობილით, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. მკვლელმა განაცხადა, რომ მოჰკლა ნ. რამიშვილი წინასწარი განზრახვით, ხოლო ამ ბოროტმოქმედების მოტივებათ მოიყვანა: 1) პირადი შურისძიება, გამოწვეული ვითომც რამიშვილის მიერ გადადგმულ ნაბიჯით პეჟოს ქარხნის ადმინისტრაციის წინაშე ქალაქ ოდენკურში 1929 წელში, რის შედეგი იყო, მკვლელის განცხადებით, მისი ქარხნიდან დათხოვა და ულუკმაპურად დარჩენა; 2) ნ. რამიშვილს შეეძლო ჩემი საქართველოში დაბრუნების მოწყობა, დამპირდა კიდეც და დაპირება არ ამისრულაო; 3) ნ. რამიშვილმა დაღუპა საქართველო, ის იყო სამშობლოსთვის მავნე პირი და «მუცელს იტენიდა» საქართველოდან გამოტანილი სახელმწიფო ქონებითო.

ამგვარად, ჭანუყვაძეს ბრალდებოდა ნ. რამიშვილის მოკვლა წინასწარი განზრახვით და ს. მენაღარიშვილის მოკვლის ცდა.

საქმე დაიწყო დამნაშავის დაკითხვით. რომ ნაფიც მსაჯულებს უკეთ შესძლებოდათ პროცესის მსვლელობის გაგება, თავმჯდომარემ მოკლე, მაგრამ ნათელ წინასიტყვაობაში გააცნო მათ საქართველოს გეოგრაფია, მისი წარსული, გამუდმებული ბრძოლა თავისუფლებისათვის, მისი რუსეთის მიერ დაპყრობა გასული საუკუნის დამდეგს, განთავისუფლება და დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენა 1917-18 წლ. და ბოლოს რუსეთის მიერ კვლავ დაპყრობა 1921 წლის თებერვალში და ქართველი ერის ბრძოლა ბოლშევიკური იმპერიალიზმის წინაამდეგ.

უკვე ბრალდებულის დაკითხვამ გამოააშკარავა მის მიერ მოყვანილ მოტივების უსაფუძვლობა და სიყალბე. თავმჯდომარე უცხადებს მას, რომ წინასწარ გამოძიებამ არ გაამართლა მისი რწმუნება თითქოს ის რამიშვილის მეოხებით ყოფილიყოს ადგილიდან დათხოვნილი 1923 წელში, რომ ამ საქმეში რამიშვილს არავითარი როლი არ უთამაშია; ხოლო როცა ჭანუყვაძის წასვლა ოდენკურიდან აუცილებელი შეიქნა მისი ამხანაგების დაჟინებითი მოთხოვის გამო, სწორედ რამიშვილის თხოვნით მიეცა მას ხარჯების დასაფარავათ 500 ფრანკი იმ 250 ფრ. მაგივრად, რომელის მიცემა გადაწყვეტილი ჰქონდათ ოდენკურელ ქართველებს. ჭანუყვაძემ ვერ შესძლო ამ ფაქტების დარღვევა.

თავის მხრით, სამოქალაქო მხარის წარმომადგენელი მორო-ჯიაფერი არკვევს ბრალდებელის დაკითხვით, რომ რამიშვილს, ჭანუყვაძის ოდენკურიდან გამობრუნების შემდეგ, მიუმართავს ქართულ ლეგაციისათვის პარიზში და ამ უკანასკნელს სწორედ რამიშვილის თხოვნით მიუცია ჭანუყვაძისათვის სარეკომენდაციო წერილი ერთ-ერთ პარიზელ ქარხანაში სამუშაოს მისაღებათ.

ს. მენაღარიშვილის დაკითხვაც ამხელს ჭანუყვაძის სიყალბეს. ის ჯერ უარობდა მენაღარიშვილის მოკვლის განზრახვას—არც ვაპირებდი მის მოკვლას და არც მისვრია მისთვისო. ხოლო როცა მენაღარიშვილი მას პირში წაუდგა, შესცვალა ჩვენება—თავიდან არ მინდოდა მისი მოკვლა, ხოლო როცა ბრძოლა დაიწყო ვესროლე, მარა მხოლოდ თავის დასაცავათო.

ს. მენაღარიშვილის დაკითხვის დროს ჰქონდა ადგილი პირველ ინციდენტს მოწმე ქერქაძის ჩვენების შესახებ.

ამ ქერქაძემ ნ. რამიშვილის მოკვლის შემდეგ რამოდენიმე დღეში წერილობით აცნობა ქ-ნ მ. რამიშვილს—ჭანუყვაძეს კარგად ვიცნობ, რამდენიმე თვე მასთან ვცხოვრობდი, ორჯერ წამიყვანა რუსეთის საელჩოში (პირველად არ ვიცოდი სად მივყავდით), მე გარეთ ვუცდიდი; საელჩოდან გამობრუნებულმა ჭანუყვაძემ მითხრა—ეწყობა ჩემი საქართველოში დაბრუნება და შენც წაგიყვანო. ქ-ნმა რამიშვილმა ეს წერილი სასამართლოს გადასცა თავისი ადვოკატის საშუალებით.

ხოლო რამდენიმე დღეში იგივე ქერქაძე, სტუდენტ გეგელიას თანხლებით, მისულა პოლიციაში და შეუტანია განცხადება—ჩემ მიერ რამიშვილის ქვრივისთვის გაგზავნილი ჩვენება იძულებითი იყო, ს. მენაღარიშვილმა და შ. ბერიშვილმა დამაწერიეს ლეგაციაში და გამაგზავნიეს სიკვდილით დამუქრების ქვეშო. სწორედ იმ დღეებში, როცა ეს განცხადება გადაეცა პოლიციას, ქერქაძემ აცნობა რამდე-

ნიმე თავის ქართველ ამხანაგს—სპ. კედიას ტენდენციის ხალხი. გეგელია და მისი მეგობრები, დამემუქრენ, დამაშინეს, მოტყუილებით მიმიყვანეს ჭანუყვაძის დამცველ ადვოკატ ტორესის კაბინეტში, საცა უკანასკნელის თანაშემწემ მიმიღო, და როცა მის წინაშე, აღნიშნული პირების ჩაგონებით, უარი ვთქვი პირველ ჩვენებაზე და ის მენაღარიშვილის და ბერიშვილის მიერ მუქარით გამოტყუებულათ გამოვაცხადე, ტორესის თანაშემწემ მირჩია ჩემი ნაამბობი პოლიციაში გამეცხადებიაო. პოლიციაშიც მუქარით წამიყვანა გეგელიამ, თვით გამყვა და მიმაცემია განცხადებაო.

აი ამ ქერქაძის ჩვენების გამო დაესხა თავს სასამართლოს სხდომაზე ჭანუყვაძის დამცველი ტორესი მოწმე მენაღარიშვილს: ეს ის პირია, რომელმაც ქერქაძე მუქარით აიძულა შეთხზული ჩვენება მიეცაო. მოწმე მენაღარიშვილი კატეგორიულათ აცხადებს რომ არაფერს ამის მსგავს ადგილი არ ჰქონია. ტორესის ეს ფანდი იწვევს მორო-ჯიაფერის სასტიკ რეპლიკას: თქვენ გინდათ ამოდენა საქმე წვრილმანებზე დაახურდავოთო...

მოწმე შარაბიძე ამცნობს სასამართლოს, რომ ჭანუყვაძე არის მეტად უხეში, ბოროტი და აუტანელი ხასიათის კაცი, რომელიც ხან ერთ ამხანაგს ესხმოდა თავს, ხან მეორეს; პირადათ მას, შარაბიძეს, მრავალჯერ დასხმია თავს და რევოლვერითაც დამუქრებია.

განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს და ნათელს ფენს საქმეს მოწმე ვლ. ბაქრაძის ჩვენება. ბაქრაძე იყო მოწვეული ოდენკურში იქ მომუშავე ქართველების მიერ 1925 წელში როგორც თარჯიმანი და დამხმარე მათი ქარხნის ადმინისტრაციის და სხვა დაწესებულებების წინაშე, ვინაიდან ქართველ მუშებში იმ დროს თითქმის არავინ იცოდა ფრანგული. ის ამ დროიდან იცნობს ჭანუყვაძეს, როგორც ბოროტს, გაუტანელ, გულღვარძლიან კაცს, რომელიც ვერ იტანდა ამხანაგებს, უბრალო მიზეზისათვის ეჩხუბებოდა და თავს ესხმოდა ხან ერთს და ხან მეორეს. ამგვარი შეტაკებები და ცემა-ტყეპა მოუხდა მას რამოდენიმე პირთან, ხოლო როცა, 1926 წლის გაზაფხულზე ის კვლავ თავს დაესხა უმართებულოთ ერთ-ერთ ოდენკურელ ქართველს, მის ამხანაგებმა გადასწყვიტეს მისი მორალურათ დასჯა: ის გარიცხულ იქნა ოდენკურის ქართველ ს. დემოკრატიულ ორგანიზაციიდან და მას ბოიკოტი გამოეცხადა. ს.-დემ. ორგანიზაციის კრებას, რომელმაც ეს დადგენილება გამოიტანა თავმჯდომარეობდა კ. შარაბიძე და მას ხვდა წილად კრების გადაწყვეტილების ჭანუყვაძისთვის გამოცხადება. ამ დღიდან უკანასკნელი გადაემტერა შარაბიძეს და დაუწყო მას დევნა რევოლვერის დამუქრებით. უბედურების თავიდან ასაცდენათ ამხანაგებმა აიძულეს შარაბიძე წასულიყო ოდენკურიდან. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ჭანუყვაძეც გადავიდა პარიზში, საცა შარაბიძე მუშაობდა და იქაც არა ერთხელ სცადა მასზე თავდასხმა. ხოლო როცა 1929 წლის დამლევს შარაბიძე ოდენკურში დაბრუნდა და იქ მუშაობა დაიწყო, რამოდენიმე ხანში ჭანუყვაძეც ოდენკურში ჩავიდა. ოდენკურის ქართველობა ამან მეტად ააღელვა: ყველასათვის ცხადი იყო რომ ჭანუყვაძე შარაბიძეს გამოედევნა ანგარიშის გასასწორებლათ. ერთ დღეს მოწმე ქარხანაში მისულა სულ სხვა საქმეზე და იქ ადმინისტრაცია შეკითხებია—იკისრებთ თუ არა ჭანუყვაძის თავდებობასო. ბაქრაძეს უარი უთქვამს, რის გამოც წინდღით სამუშაოზე მიღებული ჭანუყვაძე ქარხნიდან დაუთხოვიათ. ამის გამო ჭანუყვაძე მივარდნია ბაქრაძეს და ლანძღვა-გინებით და მუქარით გამასპინძლებია. ბაქრაძემ გადასწყვიტა საკითხი მისი მოქმედების შესახებ დაესვა ოდენკურის ქართველთა ასოციაციის სხდომაზე. სწორედ ამ დროს ჩამოსული იყო ოდენკურში ნოე რამიშვილი სულ სხვა საქმეებზე. ის დაესწრო ასოციაციის იმ კრებას, რომელზედაც ბაქრაძემ დასვა საკითხი ქარხნის ადმინისტრაციის წინაშე ჭანუყვაძის შესახებ გადადგმულ ნაბიჯის გამო. ნოე რამიშვილს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ საკითხის გარჩევაში, არც თავისი აზრი უთქვამს, არც ხმა მიუცია. ასოციაციის 31 წევრისაგან 26-მა დაადასტურა ბაქრაძის მოქმედება. ჭანუყვაძე იძულებული გახდა წასულიყო ოდენკურიდან. ასოციაციის წევრებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მიეცათ მისთვის 250 ფრანკი გაწეულ ხარჯების ასანაზღაურებლათ. აი მხოლოდ ამ საკითხში ჩარევია ნ. რამიშვილი და მისი თხოვნით მიუციათ ჭანუყვაძისთვის ორჯერ მეტი, ე. ი. 500 ფრანკი 250-ის მაგივრათ.

ჭანუყვაძის დამცველი დელატრი ცდილობს წინაამდეგობაში დაიჭიროს ბაქრაძე, მაგრამ ეს უკანასკნელი ადვილათ აგებიებს სასამართლოს რომ «წინაამდეგობა» გამოწვეულია ადვოკატის მიერ დატების არევით და საქმის სუსტათ ცნობით.

ვ. ბაქრაძე არკვევს აგრეთვე, რომ ნ. რამიშვილს არ შეეძლო ჭანუყვაძე საქართველოში დაებრუნებია. ლეგალური გზით ხომ მხოლოდ ბოლშევიკებს ძალუძთ ხალხის დაბრუნება, არალეგალური გზით კი გზავნიან მეტად სანდო ხალხს საიდუმლო მისიის ასასრულებლათ. აშკარაა რომ რამიშვილი თავშიც არ გაივლებდა ასეთი დავალებით ჭანუყვაძის გაგზავნასო.

აშკარა იყო, რომ ამ მოწმის ჩვენება სავსებით არკვევდა მკვლელის მიერ წამოყენებულ პირველი და მთავარი მოტივის სრულ სიყალბეს. ამიტომ ჭანუყვაძე, რომელიც აქამდე თავს იჭერდა, გაწიწმატდა, სრულიად აირია და მოწმეს ლანძღვა-გინება და უდიერი სიტყვები ესროლა.

განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა მოწმე ქერქაძის ჩვენებას. ის აცხადებს, რომ სწორი და თავისუფლად მიცემული იყო მისი პირველი ჩვენება, ხოლო ტორესთან მისვლა და პოლიციაში განცხადების შეტანა იყო შედეგი ძალდატანების და დამუქრებისა, რომელიც იხმარეს მის მიმართ გეგელიამ და საზოგადოთ «სპ. კედიას ხალხმა». ამათ გადამათქმევიეს ჩემი პირველი ჩვენება, მიმიყვანეს მოტყუებით ტორესთან და ამათვე მაიძულეს განცხადება მიმეცა პოლიციაშიო. ეს იმიტომ ჩავიდინე რომ თავი შემენახა პროცესამდე და აქ სიმართლე მეთქვაო.

ეს განცხადება იწვევს დიდ შეტაკებას ადვოკატებს შორის, სასამართლო ითხოვს ჭანუყვაძის მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოწვეულ მოწმე გეგელიას ქერქაძისათვის პირში წასაყენებლათ. ქერქაძე იმეორებს თავის განცხადებას, გეგელია უარყოფს ყოველივე ძალდატანებას ან დამუქრებას: ქერქაძე თვით მოვიდა ჩემთან ღამის 1 საათზე და მითხრა ლეგაციაში ძალა დამატანეს და ყალბი მოწმობა მიმაცემიესო. მე ვურჩიე, მას ეს პოლიციაში განეცხადებია; თუ ვახლდი მას პოლიციის კამისართან, ეს მისივე თხოვნით, როგორც თარჯიმანიო...

მოწმე სიმონ მდივანი, დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგი, მოკლეთ ახასიათებს ნ. რამიშვილის მოღვაწეობას უცხოეთში, მის ენერგიულ მუშაობას არა მარტო ქართულ პოლიტიკურ პარტიების გასაერთიანებლათ მტრის წინააამდეგ, არამედ აგრეთვე მის მუდმივ ცდას კავკასიის ერების ყველა მებრძოლ ძალების შეკავშირებისას საერთო მტრის წინაამდეგ. ნ. რამიშვილი იდგა ამ ბრძოლის ცენტრში, ის იყო უსაშინელესი მტერი ბოლშევიკების; ათი წელი. ცდილობდა მოსკოვი მის თავიდან მოშორებას და ბოლოს მიაღწია მიზანსო.

დიდის ინტერესით მოუსმინეს ნაფიც მსაჯულებმა ევროპიელ მოწმეებს.

შვეიცარიელი ჟურნალისტი ჟან მარტენი, ცნობილ «ჟურნალ დე ჟენევის» რედაქტორი (ჩვენი მკითხველი მას კარგად იცნობს, როგორც საქართველოს ერთგულ მეგობარს), აცნობს მსაჯულებს შთაბეჭდილებებს თავის მგზავრობისა საქართველოში 1920 წელში. მე იქ ვიყავი როგორც ჟურნალისტი, მთელი რესპუბლიკა დავიარე დარიალიდან ბაკურიან-ბათუმამდე, ყველგან სრული თავისუფლება და ევროპიული წესრიგი სუფევდა. ეს იყო უმთავრესად ნ. რამიშვილის, მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრის საქმეო. მას მთელი საქართველო, რწმენის განურჩევლათ პატივს სცემდა და აფასებდა, როგორც ენერგიულ, თავგანწირულ და უანგაროო საველმწიფო მოღვაწესო.

საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატი და ბორდოს ქალაქის თავი, ადრიენ მარკე, რომელმაც იმავ 1920 წელში ინახულა საქართველო, მოუთხრობს მსაჯულებს, რომ მან გაიცნო ნ. რამიშვილი, როცა ეს უკანასკნელი მთავრობის წევრი იყო, გარსშემორტყმული მთელი ხალხის პატივისცემით და სიყვარულით. რამიშვილი იყო მოქმედების, საქმის კაცი და ნოე ჟორდანიას მორალური ავტორიტეტის ქვეშ, ის ხელმძღვანელობდა მთელს სოციალდემოკრატიულს, ანტიბოლშევიკურ მოძრაობას. მას პატივისცემა ქონდა დამსახურებული საზოგადოების ყველა წრეებში. მოწამე შეხვდა რამიშვილს პარიზშიაც, საცა ის იბრძოდა საქ. დამოუკიდებლობისათვის, ცდილობდა შეენარჩუნებია თავისი ხალხის მორალური და პოლიტიკური პოზიციები. ის იყო აღსავსე გამარჯვების რწმენით და შეუდრეკელი თავის მისწრაფებაში.

ადვოკატი მორო-ჯიაფერი ეკითხება მოწმეს—მართალია თუ არა თითქოს რამიშვილი თავის ჯიბეების გასქელებას მისდევდა, როგორც ეს ბრალდებულმა განაცხადაო.

მარკე უპასუხებს: ეს არის ცილისწამება, რომელიც განსაკუთრებით მოწმობს მის ავტორთა სრულ გათახსირებას.

კამილ ჰიუსმანსი, ბელგიის ყოფილი განათლების მინისტრი, იცნობს რამიშვილს დიდი ხნიდან, რადგან მოწმე ომამდე 18 წლის განმავლობაში მე-II ინტერნაციონალის მდივანი იყო. ის მას იცნობდა როგორც თავდადებულ, ერთგულ, ენერგიულ მებრძოლ სოციალისტს. მან სოც. დელეგაციასთან ერთად კვლავ ინახულა რამიშვილი 1920 წ. საქართველოში და დარწმუნდა. რომ უკანასკნელი იყო ერთი მთავარი შემქნელი დემოკრატიული საქართველოსი, რომელსაც ყველა წრეებში ერთნაირი პატივისცემა ქონდა დამსახურებული. ესევე მითხრეს საქართველოში მყოფ ბელგიელებმა, რომელთაც ბევრი რამ არ მოსწონდათ სოციალისტ. მთავრობის მოღვაწეობაში, მაგრამ ულრმეს პატივს სცემდენ მთავრობის ყველა წევრებს და განსაკუთრებით ნ. რამიშვილსო.

დასასრულ ჰუისმანსი ასე ახასიათებს რამიშვილის მისწრაფებას: მას ორი მიზანი ასულდგმულებდა: დამოუკიდებლობა საგარეოთ და დემოკრატია შიგნითოო.

დაბოლოს სასამართლო უსმენს სამ მოწმეს სოფ. ლევილიდან, საცა ნ. რამიშვილი მრავალ წელთა განმავლობაში ცხოვრებდა თავისი ოჯახით. ესენი არიან: ამ სოფლის მერი, ბ. გოდფრუა, მასწავლებელი, ქ-ნი გრობი და ქ ნი ბურე. ამ მოწმეების ჩვენებაც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს სამსჯავროზე. ისინი უბრალოთ ასწერენ რამიშვილის და მისთანების ღარიბს, მარა ღირსეულ ცხოვრებას. რამიშვილი მთელი დღეებით ბოსტანში მუშაობდა, მისი მეუღლე კიდევ საქსოვ მანქანაზეო. მთელ ლევილში განსვენებულს ღრმა პატივსცემა ჰქონდა დამსახურებულიო.

ამით დამთავრდა სასამართლოს გამოძიება. აღსანიშნავია შემდეგი: ამ უკანასკნელ მოწმეების დაკითხვის წინ სამოქალაქო მხრის წარმომადგენელმა, მორო-ჯიაფერიმ განაცხადა, რომ თუ კვლავ არ წამოიჭრა პოლიტიკური საკითხები, ის უარს ამბობს მის დანარჩენ მოწმეებზე (ალ. ხატისიან, მ. ე. რასულზადე, ბ-ნი შამილი, გ. გვაზავა, ნ. ცინცაძე, დ. შარაშიძე და სხ.), ვთხოვ კი მათ დარჩენ დარბაზში, რომ საჭიროების შემთხვევაში დავკითხოთო. მაშინ დამცველმა დელატრმაც თავის მხრით განაცხადა—მეც უარს ვამბობ ჩემს ერთად-ერთ მოწმეზე ბ-ნ კედიაზე (სპირდონ), ნაციონალ-დემოკრატ. პარტიის თავმჯდომარესა და შეფზეო. ჯიაფერმა გაუსწორა: ბ. კედია არ არის ნ. დ. პარტიის არც თავმჯდომარე და არც შეფიო. ამ პარტიის ნამდვილი წარმომადგენელი არის ჩემი მოწმე, ბ. გ. გვაზავა და თუ კედიას დაკითხავთ, მეც მოვითხოვ გვაზავას დაკითხვასო. თან გადაჰკრა დელატრის—თქვენი ერთად ერთი მოწმის მოხსნა ნამდვილათ უკან დახევააო.

გაიხსნა მხარეთა დავა.

პირველათ ილაპარაკა სამოქალაქო მხარის ვექილმა მორო-ჯიაფერიმ. ჩვენ არ ძალგვიძს თუ გინდ მოკლეთ გავაცნოთ მკითხველს ეს შესანიშნავი, სამაგალითოთ აცმული და დალაგებული სიტყვა, რომელიც 2 საათი გაგრძელდა. ვიტყვით მხოლოდ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან სასამართლოს გამოძიების მასალაზე დაყრდნობით ერთი მეორეზე გაანადგურა მკვლელის მიერ მოყვანილი მოტივები და აშკარა ჰყო, რომ ნამდვილ მოტივს მკვლელობისას ჭანუყვაძე არ აცხადებს, ადვოკატის რწმენით ის იყო მოსკოვის ნების აღმასრულებელი, ნ. რამიშვილი ცახდა ჯუღაშვილი—სტალინის შურისძიების მსხვერპლი... ჯიაფერიმ მისცა მსაჯულებს ცოცხალი სურათი საქართველოს, მისი წარსული ბრძოლების, მისი სახელმწიფო შემოქმედების, საბჭოთა რუსეთის ვერაგული თავდასხმის, დამოუკიდებლობის ბრძოლის წარმოების იქ, საქართველოში, და აქ, უცხოეთში. ამ სურათზე ასახა მან ნ. რამიშვილის პიროვნება, მისი უანგაროობა, მისი თავდადება, მისი შეუდრეკელობა და დაუშრეტელი ენერგია. ასეთი მოღვაწის პოლიტიკურ სარბიელიდან მოხსნა შეეძლო მხოლოდ იმას, ვინც საქართველოს მტრების ჩაგონებით ხელმძღვანელობდა. მკვლელი თავის საიდუმლოებას გულში ინახავს, ის არ გვიმხელს თავის ნამდვილ მოტივებს, ამიტომაც მას შენდობა არ ეკუთვნის, მან მოსტაცა ოჯახს მესვეური, ერს სული, დემოკრატიას ჩირაღდანი, ჩვენი კერის მშვიდობიანობისათვის. ჩვენი მართლმსაჯულების ღირსებისათვის, მე მოვითხოვ მის დასჯასო.

პროკურორი სიამი არჩევს საქმის იურიდულ მხარეს, აბათილებს მკვლელის მიერ მომიზეზებულ მოტივებს და სახავს მკვლელობას, როგორც გულღვარძლიანი, გაბორეტებული ადამიანის შურისძიებას ყველა მის თანამემამულეებზე; ამ მიზნით მან აირჩია და მოჰკლა საუკეთესო ქართველი მოღვაწე უცხოეთში.

დამცველთაგან პირველათ ლაპარაკობს ტორესი. ის ჯერ მოწმეების დაკითხვის დროს არა ერთხელ დაესხა თავს უდიერათ საქართველოს ლეგაციას პარიზში—ის არ არის დიპლომატური დაწესებულება, არამედ პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ხრიკებს და თავდასხმებს აწყობსო. ხოლო თავისი დაცვითი სიტყვის უდიდესი ნაწილი მოახმარა საქართველოს დამოუკიდებლობის გამასხარავებას და გაბახებას—ხალხში მას ნიადაგი არ ჰქონდა, ის მოგონილია რამდენიმე პოლიტიკოსის მიერ (ყორდანია, ჩხეიძე, წერეთელი, რამიშვილი და სხ.), რომელნიც ჯერ რუსობდენ, ხოლო, როცა რუსეთიდან გამოაძევეს ბოლშევიკებმა, ეროვნული თავისუფლება შეთხზესო, ეს დამოუკიდებლობა ეყრდნობოდა უცხო ძალას—ჯერ გერმანელებს, რადგან საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელნი ნამდვილი გერმანოფილები იყვნენ და ვილჰელმის ჯარებს მოუწოდეს, მაშინ როდესაც ჩვენ, ფრანგები, სისხლიდან ვიცლებოდით ამ ჯარებთან ბრძოლაშიო. ხოლო როცა გერმანია დამარცხდა, ინგლისელები მოიყვანეს და მათ ბაქო-ბათუმის ნავთსადენი და ბათომ-ყარსის რკინის გზა ჩააბარეს. საქმის არსებით მხარეზე ტორესს ბევრი არ ულაპარაკია; ჭანუყვაძე უმუშევრობის მსხვერპლია, ისიც ხელოვნური უმუშევრობის, რომელიც ქართველ სოციალდემოკრატებმა შეუქმნეს მისი ქარხნიდან დათხოვნითო. ამავე თეზას იცავდა ჭანუყვაძის მეორე დამცველი, დელატრი.

აღსანიშნავია, რომ არც ერთს და არც მეორე დამცველს არ მიუცია თავისთავისათვის ნება ნ. რამიშვილის აუგი ეთქვა, მისი ხსოვნა ცუდათ მოეხსენებია. პირიქით, ორთავემ გამოუცხადეს ქ-ნ მ. რამიშვილს—ქედს ვიხდით თქვენი მეუღლის ხსოვნის წინაშეო.

მკითხველმა იცის სასამართლოს განაჩენი. ნაფიც მსაჯულებმა დადებით უპასუხეს პირველ—მთავარ—კითხვას, შემამსუბუქებელ გარემოების ცნობით. ამისდა გვარათ სასამართლომ გამოუტანა ჭანუყვაძეს ათი წლის ციხე (იზოლიაცია სასტიკ პირობებში) და 20 წლით საფრანგეთის ტერიტორიაზე ცხოვრების აკრძალვა.

საბჭოთა დემპინგი და ფინანსური კრიზისი

ევროპის და ამერიკის პრესაში ბევრს სწერენ საბჭოთა კავშირის დემპინგისა და ფინანსურ გასაჭირის შესახებ. ერთი ასეთი წერილი, ზემოთ აღნიშნულ სათაურით, მოყვანილია ცნობილ ფრანგულ ჟურნალში «Des deux mondes»-ში და ეკუთვნის საფრანგეთის ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს სენატორ ფ. მ ე კ ა რ დ-ს. ჩვენ მოგვყავს აქ მოკლე შინაარსი ამ წერილის, რომელიც ნათლად განმარტავს საგანს და იმავე დროს გვაცნობს საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის ერთ ფრიად გავლენიან მიმდინარეობის წარმოდგენილის შეხედულებას აღნიშნულ საკითხზე.

საბჭოთა დემპინგის განსაკუთრებული სახეობა.

ჩვეულებრივი დემპინგის დამახასიათებელი თვისება არის საქონლის უცხო ქვეყნებში გაყიდვა იქ არსებულ ფასებზე უფრო იაფად და იმავე დროს ისე იაფად, რომ გამყიდველი იმასაც კი არ იღებს, რათაც მას თვითონ უჯდება საქონლის დამზადება. საბჭოთა დემპინგს ახასიათებს სხვა განსაკუთრებული გარემოება.

ევროპაში და ამერიკაში დემპინგს მიმართავენ ისეთი სახელმწიფოები, რომელთა სოციალური და ეკონომიური საქმიანობა ერთსა და იმავე უ ფ ლ ე ბ რ ი ვ პრინციპს ემორჩილება; საბჭოთა კავშირში კი დემპინგს რევოლუციონური დანიშნულება აქვს და იგი სახალხო მეურნეობის სრული ნაციონალიზაციით სულდგმულობს. კაპიტალისტურ ქვეყნებში რომ მოინდომონ შინაურ ბაზარზე საქონლის უსაზღვროთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაძვირება, ხოლო უცხოეთში ამავე საქონლის იაფად გაყიდვა, ამას წინააღუდგება სახელმწიფო, ამის წინააღმდეგ მომხმარებელნი გაილაშქრებენ; საბჭოთა კავშირში კი სახელმწიფოს უჭირავს ხელში საგარეო ვაჭრობის მონოპოლია და შინაური ბაზრის აბსოლიუტური ბატონ-პატრონიც იგივე სახელმწიფოა; სახელმწიფო აწესებს იქ უცხოეთში გასატან საქონლის ფასებს და აწესებს, ისე როგორც მას მოესურვება.

საქონლის თვითღირებულება, რაზედაც ემყარებიან კაპიტალისტურ ქვეყნებში ფასების გამოსამუშავებლად, საბჭოთა რუსეთში მეორე ხარისხოვან როლს თამაშობს. ორი უმთავრესი ელემენტი განსაზღვრავს ყოველგან თვითღირებულებას: სარგებელი კაპიტალზე და მუშის ხელფასი. პირველი ბოლშევიკებმა მაშინ მოსპეს, როცა ნაციონალიზაცია მოახდინეს ყოველგვარ კერძო დაწესებულებების, ხოლო მუშის ხელფასი გაანიავეს იძულებითი შრომის წყალობით და რუსის ფულის კურსის საშინლად დაცემით. დღეს არც იმის მტკიცებაა საჭირო, რომ დემპინგი საბჭოთა ხუთწლიან გეგმასთან არის დაკავშირებული.

უცხოეთში გატანილ საქონელს საბჭოები აუცილებლად უცხო ვალიუტაზე ყიდიან, რომ იმით მანქანები და ნედლი მასალა შეიძინონ ქარხნებისთვის და უცხოელ ტეხნიკოსებს ჯამაგირი გადაუხადონ. მცოდნე პირების აზრით ბოლშევიკებს სურთ რუსეთის გადაქცევა ისეთ ინდუსტრიალურ ქვეყნათ, რომელიც არამც თუ თავისთავს სავსებით დაიკმაყოფილებს, არამედ გაუმჯობესებულ მანქანების საშვალებით საშიშარ კონკურენციას გაუწევს სხვა ქვეყნებსაც.

ამნაირად ჩვენ მოგველის საშიშროება არა მარტო იმის, რომ რუსეთში დავკარგავთ კლიენტურას და ამავე დროს ჩვენი საკუთარი ბაზრებიც რუსის ნაწარმოებით აივსება, არამედ იმისიც უფრო, რომ ჩვენს წინაშე აღიმართება სახელმწიფო შეიარაღებული მძიმე და ქიმიურ ინდუსტრიით, მძლავრი მილიტარული სახელმწიფო, რომელსაც შეეძლება მართლაც იფიქროს თავისი რევოლუციონური პლანების განსახორციელებლად, რაც ბოლოსდაბოლოს მისი არსებობის უმთავრეს საგანს წარმოადგენს.

საფრანგეთის და საბჭოების მოლაპარაკება.

დიდი ხნის განმავლობაში არც მთავრობა და არც საზოგადოებრივი აზრი საფრანგეთის ბოლშევიკების პლანებს არავითარ ყურადღებას აქცევდა. ისინი განუხორციელებლად მიაჩნდათ. მაგრამ ბოლოს საბჭოების დემპინგი საფრანგეთის ვაჭრობა მრეწველობასაც ძალზე მოხვდა და ხელისუფლება იძულებული შეიქნა ამ გარემოებისთვის ანგარიში გაეწია. სენატმა მოიწონა მიწათმოქმედების მინისტრის ბ. ტარდიეს განცხადება, რომ საბჭოთა დემპინგი მარტო საფრანგეთს კი არ ეხება, არამედ ევროპის და ამერიკის ყველა სახელმწიფოებს და ამიტომ მათთან ერთად უნდა იქნეს შემუშავებული ზომები ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლადო.

მართლაც, საფრანგეთის წარმომადგენლებმა ეკონომიურ კონფერენციაზე ჟენევაში, 1930 წლის სეკტემბერში, სცადეს ბლოკის შედგენა მოსკოველთა თავდასხმის წინააამდეგ და დაპირებაც ჰქონდათ მრავალ სახელმწიფოთაგან, რომ საფრანგეთს მხარს დაუჭერდენ; მაგრამ გერმანიის და იტალიის წინააამდეგობამ ჩაშალა ეს საქმე. ასეთ გეგმის განხორციელებას საფრანგეთი ამის შემდეგ აღარ დაბრუნებია. 3 ოქტომბერს 1930 წ. საფრანგეთის ვაჭრობის მინისტრმა გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალით აღკრძალული იყო ნებადაურთველად რუსეთიდან შემოტანა მთელი რიგი ისეთ საქონლის, რომლის ფასებს ვერავითარი კონკურენცია ვერ გაუძლებდა. ყველაზე უფრო საშიში ამ საქონელში იყო ხორბალი, ხე-ტყის მასალა და სელი. საფრანგეთის მთავრობის დეკრეტს რუსეთის მთავრობამ რეპრესიებით უპასუხა (დეკრეტი 20 ოქტომბრის 1930 წ.) და პარიზში არსებული საბჭოთა სავაჭრო დელეგაცია მოხსნა. საბჭოების მხრივ ასეთი ნაბიჯი მხოლოდ თვალის ასახვევად იყო გადადგმული. მაშინ როცა საფრანგეთიდან რუსეთში საქონლის გატანამ მართლაც შესამჩნევათ იკლო, რუსეთიდან შემოტანილი საქონლით კვლავ ივსებოდა საფრანგეთი, რადგან საბჭოთა ხელისუფლება სულ სხვადასხვანაირ ხერხს მიმართავდა ხოლმე. კერძოთ, მრავალი საქონელი რუსეთიდან ჩამოტანილი ახლა ინგლისის, გერმანიის, ჰოლანდიის და ლიმიტროფების სახელწოდებით შემოჰქონდათ და, ამნაირათ, დეკრეტი სიტყვიერათ ძალაში იყო, სინამდვილეში კი იგი არ არსებობდა. აი ბალანსი საფრანგეთის ვაჭრობისა რუსეთთან:

	შემოტან. რუსეთიდან	გატან. რუსეთში
	(ათასი ფრანკის)	
1928 წ.	717.436	174.969
1929 წ.	788.191	255.605
1930 წ.	886.239	169.892

1930 წელს დეფიციტი საფრანგეთის რუსეთთან ვაჭრობას აღემატებოდა 700 მილიონ ფრანკს. ასეთივე მდგომარეობა გრძელდებოდა, ზვივთ მოყვანილ მიზეზების გამო, 1931 წლის განმავლობაშიც. ამიტომ საფრანგეთის მთავრობამ ამჯობინა ისევ საბჭოებთან მოლაპარაკების დაწყება. დიდი და მძიმე მოლაპარაკების შემდეგ საფრანგეთის და რუსეთის წარმომადგენლებმა მიაღწიეს შეთანხმებას. რომლის თანახმად ორივე მხარეს უკან მიაქვთ 1930 წლის დეკრეტები; საფრანგეთი უფლებას იტოვებს ზოგიერთ საქონელზე (კერძოთ, ხორბალი, ხე-ტყე და სელი) საბაჟო გადასახადების სამჯერ და ოთხჯერ გადიდებისას და ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება ძალაშიც შედის 14 ივლისს 1931 წელს.

საბჭოთა ფინანსური გასაჭირი.

როგორც მოგეხსენებათ, საბჭოებმა გამოიმუშავეს ეგრეთ წოდებული ხუთწლიანი გეგმა, რომლის განხორციელება 85 მილიარდი მანეთი უნდა დამჯდარიყო. ბოლშევიკებს ასე ეგონათ, რომ რუსეთის მოსახლეობა ბლომათ იყიდიდა ქარხნებში დამზადებულ საქონელს და აქედან აღებულ მილიონებს ხელისუფლება ხუთწლიან გეგმის განხორციელებას მოახმარებდა. სინამდვილემ საშინლად დაამსხვრია

ბოლშევიკების ასეთი უტოპია. ეგრეთ წოდებულმა სოფლის მეურნეობის კოლლექტივიზაციამ და «ნეპის» მიერ შეჰქმნილ პირობების მოსპობამ რუსის გლეხს წაართვა ეკონომიური დამოუკიდებლობა და სავსებით გააღატაკა იგი. არამც თუ ხუთწლიან გეგმის განსახორციელებლად რუსის გლეხი ვერაფერს გაიღებს, არამედ აწი ის ვერც იმ გადასახადებს შეიტანს, რომლითაც დღემდის სულდგმულობდა საბჭოთა ხელისუფლება. ასეთმა მდგომარეობამ დასცა საბჭოთა ფინანსებიც. 1 ივნისს 1931 წელს ფულის ტრიალი 4 მილიარდ მანეთს აღემატებოდა, ესე იგი 52 მილიარდ ფრანკს, და ამოდენა ფულის მხოლოდ მცირე მინიმუმი თუ იყო დაფარული ძვირფას ლითონით და უცხო დევიზებით. შინაურ სესხებმა, რომელიც დაასლოებით ხუთ მილიარდ მანეთს უდრის, ესე იგი 60 მილიარდ ფრანკს, ხომ სავსებით ამოსწურეს ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობა. არც საგარეო სესხია მოსახერხებელი, რადგან საბჭოებს არავინ ენდობა. მაშ რითი უნდა უშველონ ხუთწლიან გეგმას? ერთად ერთი საშვალებაა საქონლის ექსპორტი უცხოეთში და კრედიტის მოწყობა იქ ფულის ან საქონლის სახით. ძნელია იმის გაგება, თუ სულ რამდენის კრედიტი აქვთ საბჭოებს უცხოეთში, ხოლო მთავრობების მიერ უზრუნველყოფილ კრედიტების ჯამი კი 15 მილიარდ ფრანკს შეადგენს. აქედან გერმანიაში 4 მილიარდი ფრ., ინგლისში 400 მილ. ფრ., იტალიაში—270 მილ., ჩეხოსლოვაკიაში—375 მილ., ავსტრიაში 500 მილ., ნორვეგიაში, ფინლიანდიაში და პოლონეთში 280 მილ. თითოეულში. საბჭოები ვეღარ ამართლებენ ამ ვალდებულებებს და ამიტომ, როგორც ფრანკფურტის გაზეთი სწერდა ამას წინათ, საბჭოების ორას მილიონ მარკის ვექსილები ტრიალობს ახლა გერმანიაში და კაცი არაა იმის გამნაღდებელი. დარჩათ ექსპორტი.

რუსეთის ექსპორტი.

აუცილებელია ექსპორტი, ექსპორტი რათაც უნდა დაჯდეს იგი, ექსპორტი რა ფასებშიც არ უნდა გაიყიდოს საქონელი. აქედან წარმოიშვა დემპინგის აუცილებლობა. და აი ჩრდილ. ამერიკა, კანადა, ავსტრალია, დუნაის ქვეყნები საბჭოებმა დააზარალეს იაფი ხორბლის შემოტანით, პოლონეთი ნაქსოვების იმპორტით, ფინლიანდია, ჩეხოსლოვაკია, რუმინია, ავსტრია ხე ტყის მასალით; ინგლისის ინდოეთს და ნიდერლანდიის ინდოეთს ებრძვიან ბაზარზე საშინელ იაფად და ბლომათ გამოტანილ შაქრით; ხოლო შეერთებული შტატების და ინგლისის ინდოეთის მარგანეცის ინდუსტრია რუსეთიდან შემოტანილი მარგანეცით-გაანადგურეს. მართალია, საბჭოთა ექსპორტი რუსეთის ომის წინა დროის ექსპორტს 50 პროცენტს არ აღემატება, მაგრამ ამ შემთხვევაში ისაა დამახასიათებელი, თუ როგორ იმატა ექსპორტმა 1927 წლის შემდეგ, ესე იგი სწორეთ შემდეგ ხუთ წლიანი გეგმის შედგენისა. 1928-29 წ. გატანილი იყო რუსეთიდან საქონელი 12.617.830 ტონი და ღირებული 877.5 ათას მანეთად; 1929-30 წ. კი გატანილი იყო 18.869.790 ტონი ღირებული 1.002.2 ათას მანეთად. მეტათ დამახასიათებელია ეს ციფრები: მაშინ როცა გატანილი საქონლის რაოდენობას უმატნია 50 პროცენტით, მის ღირებულებას უმატნია მხოლოდ 14.2 პროცენტით. ამნაირათ, გააქვთ რაც შეიძლება მეტი და ფასებს აწესებენ რაც შეიძლება ნაკლებს.

საშიშროება საფრანგეთის და საბჭოების დაახლოების.

ექსპორტის გადიდება მაინც არ შველის საბჭოებს ბიუჯეტის წონასწორობაში მოსაყვანად და ისინი მაინც უკიდურეს ფინანსურ გასაჭირს განიცდიან. ყოველი ღონე უნდა იღონონ ფულის საშოვნელად.

ლიტვინოვი საზოგადოებრივი აზრის დასამშვიდებლად 18 მაისს 1931 წ. აცხადებს ჟენევაში, რომ ორი სისტემა—საბჭოთა და კაპიტალისტური დიახაც კარგათ მოთავსდებიან ერთად და მშვიდობიანათო და უარს ყოფდა, თითქოს საბჭოებს რაიმე ეკონომიური თუ პოლიტიკური აგრესიული განზრახვები ჰქონდესთ; 12 მაისს 1931 წ. კი კომუნისტური ინტერნაციონალი თავის მოწოდებაში ამბობდა, რომ საბჭოთა კავშირი მოწინავე რაზმია მსოფლიო რევოლუციისა და იმავე წლის 9 მაისს მარსელ კაშენი საფრანგეთის პარლამენტში განმარტავდა, რომ ორი სოციალური კონცეპცია—საბჭოთა და კაპიტალისტური ერთი მეორის წინააამდეგია და შეურიგებელია.

საბჭოები ძალიან მოხერხებულ პოლიტიკას აწარმოებენ, ისინი ადვილათ მოქმედებენ ერთი-მეორეს დაშორებულ მოწინააამდეგებზე, არავითარ ზომას ერიდებიან და არც არაფრის რცხვენიათ. ინტერნაციონალურ კარტელებს, ამ კაპიტალისტურ სიმაგრეებსაც კი, ისინი ადვილათ უახლოვდებიან, ოღონდ სარგებლობა რამე კი ნახონ. ასე, ისინი კელნში, ჟენევაში და ვარშავაში კაპიტალისტურ კარტელებთან თათბირობდენ ხოლო ამავე დროს არც საფრანგეთი დავიწყებიათ, რადგან კარგათ იციან, რომ ის არის ერთად ერთი ქვეყანა, რომელსაც შეუძლია დღეს მათი მადის დაკმაყოფილება.

ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ რა მნიშვნელოვანი კრედიტები იშოვეს საბჭოებმა გერმანიაში და ინგლისში; ეს უკანასკნელნი ფიქრობდენ, რომ რუსეთთან ვაჭრობა მათ დიდ მოგებასაც მისცემდა და უმუშევრობის განელებასაც ამ ქვეყნებში ხელს შეუწყობდა; გერმანიას იმის იმედიც ჰქონდა, რომ თუ იგი საბჭოებს და მათ მილიტარულ სიძლიერეს გაამაგრებდა, უფრო ადვილათ შეარღვევდა ვერსალის ხელშეკრულებას. მაგრამ დღეს ყველასთვის აშკარა შეიქნა, რომ ასეთმა პოლიტიკამ დაღუპა ფინანსიურათ ინგლისიც და გერმანიაც. მართალია, ინგლისს იმდენი ფული არ მიუცია საბჭოებისთვის პირდაპირ, რამდენიც მისცა გერმანიამ, მაგრამ ინგლისის ფული მიდიოდა საბჭოებთან არაპირდაპირ—გერმანიის საშვალებით. საბჭოებთან ურთიერთობაში ფული შეიძინეს მხოლოდ შუამავლებმა, ზოგმა მრეწველმაც, თუმცა ამათგან ზოგმა დაკარგა კიდეც, ხოლო რაც შეეხება ბანკებს და მთავრობებს, იმათ არაფერი შეუძენიათ გარდა საბჭოების ქაღალდებისა, რომლის გამნაღდებელი ახლა აღარავინ არის.

რა თქმა უნდა, ამის შემდეგ ინგლისი და გერმა-

ნია საბჭოებს ფულს აღარ ასესხებენ და საბჭოებმაც პირი საფრანგეთისკენ იბრუნეს, იმ ერთად ერთი ქვეყნისკენ, რომელსაც შეუძლია მათი საჭიროების დაკმაყოფილება.

ლიტვინოვი ჟენევაში ამოქმედდა, ხოლო საფრანგეთში განსაკუთრებული დელეგაცია იქნა მოსკოვიდან გამოგზავნილი ბ.ბ. მექლაუკის და გუერსკის მეთაურობით. საფრანგეთის მთავრობის მიზანი იყო, როგორც დავინახეთ, აღდგენა კომერციულ ბალანსის წონასწორობის და დაკვეთების მიღება საფრანგეთის ინდუსტრიისთვის. მაგრამ, კომერციულ ბალანსის გამოსასწორებლად საკმარისი იქნებოდა, თუ საფრანგეთი თავს გაანებებდა მოსკოვიდან ნავთის შეძენას და იმას რუმინიაში იყიდიდა; რაც შეეხება საბჭოების მიერ საფრანგეთში საქონლის ყიდვას, ამ მოსაზრების მნიშვნელობა უკვე გერმანიის და ინგლისის მაგალითებზე დავინახეთ. არ კმარა საქონლის დაკვეთა მხოლოდ, საჭიროა საქონელში ფულის მიცემაც; აქ კი ისეთ სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე, რომელიც პრინციპიალურად არის წინააღმდეგი გაანაღდოს თავისი ვალდებულებანი კაპიტალისტურ კრედიტორების მიმართ და თვითონაც ყოველივე ნდობას არის მოკლებული.

რუსებს სურთ თვითონ ნაღდათ მიიღონ ფული, როცა რასმე გაყიდიან, ხოლო თუ რასმე ყიდულობენ, ეს გრძელვადიან თამასუქებით უნდათ გადაიხადონ. საშიშია, რომ საფრანგეთსაც ის არ მოუვიდეს, რაც ინგლისსა და გერიანიას. მართალია, აქ მთავრობა უარს ამბობს ყოველგვარ გარანტიაზე, მაგრამ ის გრძელვადიანი თამასუქები, რომელსაც მრეწველები საბჭოებიდან მიიღებენ, განაღდებული იქნება ფრანგულ ბანკებში და შემდეგ ვადაგაგრძელებულიც; დადგება დრო და საფრანგეთის (სახელმწიფო) ბანკი იძულებული შეიქნება ჩაერიოს ამ საქმეში, როგორც ეს ამას წინათ რეიხსბანკს დავმართა გერმანიაში, როცა იგი იძულებული შეიქნა გადაენაღდებია მრეწველების 150 მილიონ მარკის კრედიტი. შედეგი მთელი ამ ისტორიის, ამ თამასუქების განაღდების, შემდეგ მათი ვალების მრავალჯერ გადიდების და სხვ., ის იქნება რომ ვალი მაინც გადაუხდელი დარჩება.

და შეუძლია განა საფრანგეთს, მას შემდეგ რაც ორასი მილიარდი ქაღალდის ფრანკი დაახლოებით უკვე დაკარგული აქვს რუსეთში და რუსეთის ინდუსტრიაში, თავი კიდევ ახალ მახეში გაყოს? ან დასაჯერებელია განა ის, რომ ომის წინად გაცემული სესხი შესაძლებელია აღებულ იქნას გაბოროტებულ და გაღატაკებულ მთავრობისაგან?

საფრანგეთის მთავრობას სურს დემპინგისგან თავი დაიზღვევოს, მაგრამ ამავე დროს იგი მეტად საშიშარ გზაზე დგება. ჩვენ დავასახელეთ საბჭოებთან დამოკიდებულების ცუდი მხარეები, მაგრამ არსებობენ კიდევ უარესებიც. საბჭოებთან ეკონომიურ დაახლოებით ჩვენ ვამაგრებთ იმათ და ვასუსტებთ საფრანგეთს; იმიტომ რომ, როცა ჩვენ საქმეს ვიჭერთ კომუნისტურ მთავრობასთან, როგორც თანასწორთან, ჩვენ ვუქმნით ჩვენს ხალხს ილუზიას, თითქოს ბოლშევიზმის საშიშროება არც კი არსებობდეს ან რომ იგი ყოველ შემთხვევაში თითქოს მეტად გადაჭარბებული იყოს; როცა ჩვენ საბჭოებს საქონელს ვაძლევთ ნისიათ, ხოლო იმათგან კი ნაღდზე ვყიდულობთ, ჩვენ ვეხმარებით ხუთწლიან გეგმის განხორციელებას და წითელი ჯარის შეიარაღებას; დასასრულ, ჩვენ ვაძლიერებთ საბჭოთა კომერციულ დელეგაციას. ყურადღებას არ აქცევენ ხოლმე ამ დაწესებულების მეტად საზიანო მოქმედებას ყველა ქვეყნებში; დაავიწყდათ 1927 წელში ლონდონში არკოსის ბინის გაჩხრეკა, როცა აღმოჩნდა რომ კომერციული დელეგაცია ცენტრი იყო ჯაშუშობის და რევოლუციონურ მოქმედების; სულ ახლო წარსულშიც ამსტორგის გაჩხრეკამ ბუენოს აირესში იმის დამამტკიცებელი საბუთები აღმოაჩინა, რომ საბჭოთა კომერციული მისია ძირს უთხრიდა არგენტინის ინდუსტრიას და ასულდგმულებდა კომუნისტურ მოძრაობას; 1931 წლის 18 აგვისტოს პოლიციამ გამოაშკარაყა შანხაიში, რომ საბჭოთა არკოსი წარმოადგენდა კომუნისტურ პროპაგანდის ორგანოს, რომლის მოქმედება მთელ აზიაზე და პაციფიკზე ვრცელდებოდა და უკანასკნელ თვეებში ამ საქმეზე მათ 80.000 გირ. სტ. ჰქონდათ დახარჯული. იქვე არ არის, რომ საბჭოთა კომერციული დელეგაცია პარიზშიც ამ საქმეს ემსახურება და, თუ ჩემი ინფორმაცია სწორია, საბჭოთა აგენტების რიცხვი, რომელიც 800-დან 300-მდე იყო შემოკლებული, ხელახლად გაადიდეს კომერციული მოლაპარაკების დაწყების შემდეგ და ყოველდღე ახლებს გზავნიან კომუნისტურ პროპაგანდის გასაძლიერებლათ, სახელდობრ ისპანიაში.

აქ, ამ რევოლუციონურ ცენტრში, მზადდება კომერციული შეთანხმებები, აქედან იკვეთავენ საქონელს, აქ იძლევიან საკომისიოს, კურტაჟს და ყოველნაირ ქრთამს, რომელიც თან ახლავს საბჭოთა ყოველგვარ კომერციულ ოპერაციებს. გერმანიამ, ინგლისმა და ბელგრმა სხვა ქვეყანამ უკვე იციან ახლა ცოტა რამე ყოველივე ამის შესახებ. რიგი ჩვენზეა.

ეცხო სახელმწიფოთა და ნაციათა ლიგის დამოკიდებულება.

ბოლშევიკურ საშიშროებას დღეს არავინ უარყოფს და ყოველგან ლიგებიც კი არსდება მის წინააღმდეგ საბრძოლველათ; ხოლო მთავრობებს აკლიათ გამბედაობა საჯაროთ დაგმონ ბოლშევიზმი. მის მაგიერ რომ რადიკალური ზომები მიიღონ მის წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლებასთან გასწყვიტონ ყოველგვარი დამოკიდებულება, მთავრობები მოლაპარაკებას აწარმოებენ ბოლშევიკებთან და თუ რაიმე ზომებს იღებენ, მხოლოდ პალლიატივურს.

შრომის ინტერნაციონალურ ბიუროს უარყო მიმართვა, რომელიც მას გაუგზავნეს როგორც პროტესტი რუსეთში შემოღებულ იძულებითი შრომის წინააღმდეგ, რაც დემპინგს ასულდგმულებს.

ლორდმა სესილმა ნაციათა ლიგაში ილაპარაკა მონობის წინაამდეგ, რომელსაც კიდევ აქვს ადგილი ქვეყანაზე, მაგრამ არც ერთი სიტყვით მოუხსენებია ის ასეული ათასები ადამიანთა, რომელთა მდგომარეობა რუსეთის კატორღებში გაცილებით უარესია, ვიდრე მონების.

ლიტვინოვს შესწევდა გამბედაობა ჟენევის არეოპაგის წინაშე, რომელსაც საბჭოთა გაზეთები მუდამ აგინებენ, წარმოედგინა ეკონომიურ თავდაუსხმელობის პაკტი შედგენილი იმნაირათ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს შესძლებოდა დემპინგის პოლიტიკის გაგრძელება, ხოლო სხვა სახელმწიფოებს ამის წინააღმდეგ ბრძოლის საშვალება წართმეოდათ. ნაციათა ლიგა ღალატობს თავის მოვალეობას, როცა თავის კომისიების სხდომებზე უშვებს ისეთ ქვეყნის წარმომადგენლებს, რომელნიც მიზნათ ისახავენ ძირი გამოუთხარონ თვით იმ პრინციპებს, რომელზედაც ნაციათა ლიგა არის აგებული. ზოგიერთ ქვეყნის წარმომადგენელთა პოზიცია კიდევ უფრო გასაკვირია.. ეკონომიურ საკითხის კომისიამ სისუსტე გამოიჩინა, როცა მხარი დაუჭირა კომიტეტის დაარსების საკითხს საბჭოთა წინადადების შესასწავლად. ერთად ერთს შვეიცარიის წარმომადგენელს ჰქონდა გამბედაობა ხმა მაღლა ეთქვა, რომ იმ მომენტიდან, როცა საბჭოები მოიწვიეს ნაციათა ლიგაში მოსალაპარაკებლად, ეკონომიურ კრიზისის განელება, სახელდობრ ევროპის საბაჟო კავშირის შეჰქმნით, შეუძლებელი შეიქნაო. ეს ჭრილობის გაღრმავებას მოასწავებდა. და მართლაც, თვითონ ბოლშევიკებმა არ შეიტანეს არევ-დარევა მსოფლიო ეკონომიურ ცხოვრებაში? საკუთარი ქვეყანა კომუნიზმის ქაოსში გახვიეს, განათლებულ სახელმწიფოების ერთის მეორეზე გადაკიდებას ცდილობენ, დაშრიტეს მრავალი წყარო საერთაშორისო ვაჭრობის და ხალხის მილიონები მოსწყვიტეს ისეთ ბაზრებს, სადაც საქონელი მიდიოდა და მუშა ხელი სამუშაოს პოულობდა.

ზოგი მთავრობა კიდევ ოცნებობს, რომ საბჭოები იძულებული გახდებიან შესცვალონ თავისი სისტემა და მოწინაამდეგეთა მეთოდები გაიზიარონ; ამ აზრის დასამტკიცებლათ ახლა სტალინის მიერ 23 ივლისს მოსკოვში წარმოთქმულ სიტყვას ემყარებიან. მაგრამ თუ ამ სიტყვას ახლო გავეცნობით, ჩვენ დავინახავთ, რომ უპირველეს ყოვლისა სტალინი არ მალავს იმ სერიოზულ სიძნელეებს, რაც ხუთწლიან გეგმის განხორციელებას წინ აღემართა და შემდეგ სრულიადაც არ უარყოფს კომუნისტურ მეთოდებს. იგი მომხრეა მუშების კოლხოზების საშვალებით სამუშაოში ჩაბმის, ესე იგი, სხვანაირათ რომ ვსთქვათ, მომხრეა იძულებითი შრომის რეჟიმის გაძლიერების; იგი აღიარებს პროლეტარიატის ცუდ მდგომარეობას და ზოგადათ მომხრეა მათი ხელფასის გაუმჯობესების, აგრედვე ტექნიკოსებისაც; მაგრამ ამასთანავე იგი მოლოდინშია ისეთ სპეციალისტების შექმნის, რომელნიც მუშათა კლასის პოლიტიკას შეითვისებენ, ესე იგი შეითვისებენ პოლიტიკას კომუნისტური პარტიისას; ესე იგი ზრუნავს ბოლშევიკურ კადრების შევსებისთვის, რათა შემდეგში თავიდან მოიცილოს ის სხვა ტექნიკოსები, რომელთაც ახლა იძულებული არიან მიმართონ. სტალინს ერთი სიტყვაც არ წამოცდენია არც საგარეო ვაჭრობის თავისუფლების შესახებ, არც ვაჭრობის მონოპოლიების და იძულებითი შრომის სისტემის გაუქმების შესახებ. ცხადია, იგი სავსებით რჩება საბჭოების ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლის ნიადაგზე, რომლის ერთ-ერთ საშვალებათ არის მიჩნეული დემპინგიც.

დასკვნა.

უკეთესი იქნებოდა საფრანგეთს სრულებით რომ არ დაეწყო საბჭოებთან მოლაპარაკება. არც ერთ დათმობას, რაც კი მას დღემდის საბჭოებისთვის გაუკეთებია და კერძოთ მათთან დიპლომატური დამოკიდეაულების აღდგენას, არავითარი სარგებლობა საფრანგეთისთვის არ მოუტანია, გარდა ზარალისა.

არ უნდა შეხედოს საფრანგეთმა თვალში ამ სინამდვილეს, არ უნდა შეიგნოს ის საშიშროება, რომელიც უქადის მთელ კაცობრიობას, არ უნდა დარჩეს იგი, როგორც მუდამ, ერთგული დამცველი უფლების, სამართლიანობისა და თავისუფლების, როცა ყოველ მხრიდან იმედით შესცქერიან მას, როგორც დაძაბუნებულ კაცობრიობის დამცველს? მას, ძლიერს მხედრობით, ძლიერს კრედიტით, ძლიერს მშვიდობიანობის სულისკვეთებით, რაც ასულდგმულებს ყველა მის შვილს გამოუკლებლივ, მას ეკუთვნის ინიციატივა. დემპინგი მხოლოდ ერთი ეპიზოდია იმ შეურიგებელ ბრძოლის, რომელიც ორ ხელისუფლებას შორის სწარმოებს. შეუძლებელია მიზნის მიღწევა, თუ არა კომუნიზმის ყველა მოწინაამდეგეთა საღვთო კავშირით.

ამ კავშირის განხორციელება მხოლოდ საფრანგეთს შეუძლია. და როცა იგი შეიგნებს მის ასეთ დანიშნულებას, მან უნდა მოუწოდოს მთელს მის გენიას, ყველა ძალებს ერისას. ჯერ კიდევ დროა ეკონომიურ და ფინანსურ ზომებით ბოლო მოეღოს ბოლშევიზმს. გვეშინია, ხვალ ეს დაგვიანებული არ დარჩეს.

საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა

მონღოლთა ასალი შემოსევა თემურ ლენგის მეთაურობით.

საქართველოს დამშვიდებული ცხოვრება არც ამ შემთხვევაში ყოფილა ხანგრძლივი. მეთოთხმეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჩვენს ქვეყანას, იმ გვარადვე როგორც დანარჩენს მაშინდელს აღმოსავლეთს, მრისხანე თემურ-ლენგის მეთაურობით კვლავ მონღოლები ეწვივნენ, მხოლოდ ეხლა კი უკვე ვითარცა მაჰმადიანნი. თუ წინათ მონღოლები წარმათნი იყვნენ და მათთვის სარწმუნოებრივს განსხვავებას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, თავიანთ სარწმუნოების გავრცელება ფიქრადაც არ მოსვლიათ, ეხლა ისინი, როგორც ახლად მოქცეულს შეეფერება, მებრძოლ მოშურნეობას იჩენდენ და ხმლითა და იძულებით ცდილობდენ დამორჩილებულ ერთა შორის ისლამის გავრცელებას. ამ გვარად იმ საშინელს ხოცვა-გლეჯას და ქვეყნის აოხრებას, რომელიც მონღოლთა პირველს შემოსევასა და ბატონობის ხანას

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან სდევდა, ეხლა სარწმუნოებრივი მძულვარება და დევნილობა ზედ დაერთო. ადვილი წარმოსადგენია რამდენად წინანდელზე უფრო საშინელი და გამანადგურებელი უნდა ყოფილიყო თემურ-ლენგის შემოსევა.

როცა თემურმა სპარსეთიც ხელში ჩაიგდო და დაიმორჩილა, ახლა საქართველოს დაპყრობისათვის სამზადისს შეუდგა. 1386 წელს იგი რჩეულ ნაცადი ჯარით უეცრივ ყარაბაღიდგან საქართველოს დედაქალაქს ტფილისს მიადგა, სადაც თვით მეფე ბაგრატიც იმყოფებოდა.

ქართველთა მედგარ და თავგანწირულ ბრძოლის დამიუხედავად თემურ ლენგმა ისე შეაწუხა ტფილისის ციხეში მყოფნი მეომარნი და თვით მეფეც, რომ გამარჯვების იმედი გადაწყვეტილი იყო. ამიტომ ბაგრატ მეფე იძულებული შეიქნა მონღოლთაგან თავისთვის უვნებლობის ფიცი ეთხოვა და ტფილისის ციხე და ქალაქი მათთვის დაენებებინა. თემურმა მეფე ბაგრატი დიდის პატივისცემით მიიღო, მაგრამ, როცა აიყარა და ყარაბაღში დაბრუნდა, ისიც თან წაიყვანა. შემდეგ თემურლენგმა თავისი ჯარი კახეთის ასაოხრებლად გაგზავნა. საქართველოს მეფე ყაენს დატყვევებულივით ჰყავდა და ძალას ატანდა რომ ქრისტიანობა უარეყო და გამაჰმადიანებულიყო. მეფე დიდი წინაამდეგობის შემდეგ დაეთანხმა გარეგნულად და ასე უთხრა: მსურს, ჩემმა ქვეყანამაც თქვენი რჯული მიიღოსო, გამატანე ჯარი და მთელს საქართველოს გავამაჰმადიანებო. თემურმა მოუწონა ასეთი განზრახვა და 12.000 საუკეთესო ჯარისკაცით საქართველოში გაგზავნა. ბაგრატმა საიდუმლოთ თავის შვილს გიორგის აცნობა, ამდენი და ამდენი ჯარით მოვდივარ, დამხვდი მომზადებული და ჩვენს მტრებზე შური ვიძიოთო. გიორგი მართლაც დახვდა მამას ჩასაფრებული წინასწარ არჩეულ ადგილას, მონღოლები სასტიკად დამარცხდნენ და არც ერთი მათგანი ცოცხალი არ გადარჩენილა.

თემურლენგი თავრიზში იყო რომ 1398 წ. ამბავი მოუტანეს ქართველები თავის ჯარითურთ ნახევანს მოუხდნენ და ციხე აიღეს და მთელი არეზის გაღმართი დაიპირესო. ყაენმა ეს მოქმედება საქართველოს ისეთ კადნიერებათ ჩამოართვა, რომელიც მის უშიშროებასა და ქედმოუხრელობას მოასწავებდა. ამიტომ მან განრისხებულმა ქართველთა მკაცრი დასჯა გადასწყვიტა. საგანგებოდ შერჩეულ ლაშქრითურთ ის 1399 წ. საქართველოს მეორედ და ხოლო 1401 წ. მესამედ შეესია, სამხედრო მოქმედებას თემური 1401 და 1402 წ.წ.-შიაც აწარმოებდა. ქვემო ქართლი, მესხეთი, დასავლეთი საქართველო აბხაზეთითურთ უუკიდურეს ჩრდილოეთის სამზღვრამდის მონღოლთა თარეშისა და სამხედრო მოქმედების ასპარეზად იქცა. არცერთ ქვეყანაში არ შეხვედრია თემურს ისეთი წინაამდეგობა როგორიც საქართველოში. თავგამოდებული მამაცური ბრძოლა იყო ორთავეს მხრით. დაუნდობელნი იყვნენ მონღოლნი ყოველთვის, როდესაც მათ მედგარ წინაამდეგობას უწევდნენ. ქართველები იძულებული იყვნენ გელაქუნი, ანისი და სხვა ციხე-ქალაქები დაეცალათ. ვერავითარი სიმაგრე, თვით მიუდგომელად მიჩნეულიც კი, მონღოლთა ლაშქარს ხანგრძლივ წინაამდეგობას ვერ უწევდა; ყოველგვარ საბრძოლველ მანქანებითა და იარაღებით ცდილობდენ ისინი თავიანთ მიზნის მიღწევას. ამისათვის თემურლენგი არავითარ მსხვერპლს არ ერიდებოდა. როდესაც ქართველები უკვე ციხეებში ვეღარ უმაგრდებოდნენ, გამოქვაბულებში შეეფარნენ და იქიდგან განაგრძობდნენ თავგანწირულს ბრძოლას. მაშინ ყაენმა კლდეებზე ზვიდგან საბლებით კალათები ჩამოაშვებინა და შიგ თავის ჯარისკაცები ჩასხა. ქართველ და მონღოლთა მეომარნი ასეთ პირობებშიაც განუწყვეტლივ ებრძოდენ ერთმანეთს. ქართველები ხმლებით სჭრიდნენ საბლებს და კალათები მონღოლთა ჯარისკაცებითურთ უფსკრულში ცვივოდენ და იღუპებოდენ. თავის მხრივ მონღოლები ისრების წვერზე ძველ ჩვრებს ახვევდენ, შემდეგ ნავთს ასხამდენ და ცეცხლმოკიდებულს გამოქვაბულებში ესროდენ ქართველებს, რომ ან მათთვის ცეცხლი მოედოთ და დაეწვათ, ან არა და კვამლით დაეხჩოთ. სწორედ ასეც მოხდა. შეუბრალებელნი იყვნენ თემურლენგის ჯარისკაცნი მაშინაც კი, როდესაც ღონემიხდილი მოპირდაპირე. იარაღსა ჰყრიდა და თავისით ნებდებოდა ხოლმე, დანდობა არ იცოდნენ და ყველას ხოცავდენ. აოხრდა. და განადგურდა მთელი საქართველო: სხვაფრივ ნაწილობრივ დაზიანების გარდა 700 სოფელი და ქალაქი მთლად მიწასთან იყო გასწორებული. არ დარჩენილა არც ერთი შესანიშნავი ქართული ეკლესია საქართველოს შუაგულში, რომ თემურს არ დაენგრევინოს. თვით დიდებული სვეტი ცხოველი საქართველოს ეკლესიისმწყემსთავრის, კათოლიკოს-პატრიარქის საყდარიც, ვერ გადაურჩა ამ ხვედრს. ადვილი წარმოსადგენია, რამოდენი ხალხი უნდა დაეკარგა ქართველობას ამ საშინელს, უსწორო ბრძოლაში.

მიუხედავად მრავალგზის შემოსევისა და ხანგრძლივი ბრძოლებისა თემურმა საქართველო საბოლოოდ ვერ დაიმორჩილა და ვერ დაიმკვიდრა და სიკვდილის წინ (+1405) მწარედ წარმოსთქვა: «მთელი აზია დავიმორჩილე, საქართველოს გარდა. ჩემი სიძლიერე საქართველოს შევალიე და ჩემის გუნებისად ვერ დავიმორჩილე, საყმოდ თავი ვერ დავადებინეო».

მისი გარდაცვალების შემდეგ საქართველო მალე სრულიად გაიწმინდა მონღოლთა ჯარებისაგან. მაგრამ ძვირად დაუჯდა ქართველ ხალხს თემურ ლენგის შემოსევები. ქვეყანა ეკონომიურად დაეცა, მცხოვრებთა რიცხვი ძალზე შემცირდა, ხნეობა გაიხრწნა, დაიღუპა ქართული კულტურის და შემოქმედების საუკეთესო ნაშთები. განსაკუთრებით სამძიმო კი იყო, რომ მოიშალა სახელმწიფოებრივი აპარატი, შესუსტდა ცენტრალური მართველობა და ცალცალკე კუთხეებმა დაიწყეს განდგომა, დამოუკიდებელი ცხოვრების მოწყობა და საკუთარი პოლიტიკის წარმოება.

ჯერ კიდევ მთლად არ იყო გამქრალი ერთობის შეგნება და ისეთი ნიჭიერი მეფეების ხელმძღვანელობით, როგორიც იყვნენ ალექსანდრე I და კონსტანტინე მეთუთხმეტე საუკუნეში, საქართველომ კვლავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესძლო თავის მთლიანობის აღდგენა თუმცა დროებით, და დიდი მუშაობა იქნა გაწეული აოხრებული ქვეყნის ციხე-სიმაგრეების განსაახლებლად, დარბეული ხალხის კვლავ დასასახლებლად და მშენებლობის განსაცხოველებლად. თითქოს გამოჩნდა იმედი წელში გამართვის, ძლიერების აღდგენის და წინანდელი წარმატების დაბრუნების.

სამწუხაროდ ვიდრე ეს გამთელება შესრულდებოდა, ქვეყანა განიკურნებოდა მრავალ ჭრილობისაგან და დაძლევდა ყველა დაბრკოლებას, მის საზღვრებს სამხრეთ აღმოსავლეთით და სამხრეთ დასავლეთით მოუახლოვდენ ორი დიდი და ძლიერი იმპერია სპარსეთი და ოსმალეთი, რომელთაც მალე დაიწყეს თავდასხმები საქართველოზე. ოსმალეთმა კონსტანტინეპოლის, საერთოდ ბიზანტიის დაპყრობით და მერე შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირების დაკავებით სრულებით შეუკრა საქართველოს გზა ევროპისკენ. მეორეს მხრით შავმა ზღვამ და საქართველომ დაჰკარგეს მნიშვნელობა, როგორც ინდოეთსა და საერთოდ აზიასთან შემაერთებელმა გზამ, ეხლა მიმოსვლის ცენტრი სხვაგან, სამხრეთით იქნა გადატანილი და ამ გარემოებამ უაღრესი გავლენა მოახდინა საქართველოს მდგომარეობაზე. ამავე დროს მოხდა სპარსეთის აღორძინება, ის გადაიქცა დიდ იმპერიად და დაიწყო თავის საზღვრების გაფართოვება და მეზობელ სახელმწიფოების დაპყრობა.

ამ ახალი საშინელი ხიფათის წინაშე საქართველო წარსდგა დანაწილებული. მისი მიწა-წყალი იმ დროს—მე-16 საუკ. დასაწყისში—კიდევ საკმაო ფართო ტერიტორიას წარმოადგენდა: იწყებოდა შავი ზღვიდან რიზესა და ტრაპიზონს შუა, გაივლიდა დაბლა აოზრუმთან, შეიცავდა ყარსს, უახლოვდებოდა გუმბრს (ალექსანდროპოლს), მერე გაყვებოდა მტკვარს, ნუხასთან მიებჯინებოდა კავკასიის ქედს და მის გაყოლებით თავდებოდა ჩრდილოეთ დასავლეთით შავ ზღვაზე სოჭის ზევით.

ხოლო ეს ტერიტორია დაყოფილი იყო ოთხ სახელმწიფოებრივ ერთეულად: ქართლის სამეფო, კახეთის სამეფო, რომლის ფარგალში შედიოდა დღესტნის მომიჯნავე ადგილებიც და რომლის დედაქალაქი იყო ზაგეზი (ყარაღაჯი), იმერეთის სამეფო, რომელიც შეიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს ჯიქეთით, აფხაზეთით, სამეგრელოთი, გურიით და დიდი ომის წინანდელ ბათომის ოლქით და რომლის დედა ქალაქი იყო ქუთაისი, და სამცხე სათაბაგო, რომელიც შეიცავდა სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს.

ამასთან ერთად ეკლესიაც, რომელიც ყოველთვის საქართველოს მთლიანობას ემსახურებოდა, ორად გაიყო: ქართლის კათალიკოსი განაგებდა ქართლ-კახეთს და სამცხის ეკლესიას და აფხაზეთის კათალიკოსი (ბიჭვინტაში) დანარჩენ საქართველოს.

რას სწერენ ბოლშევიკებზე

ვენაში ამას წინათ გამოვიდა წიგნი სახელად «სტალინი და კომპ.»., რომელიც ეკუთვნის ევროპის გაერთიანების ცნობილ მოსარჩლეს კოდენგოვე-კალერგის. წლების განმავლობაში—ვკითხულობთ წიგნში— ფიქრობდენ, რომ ბოლშევიზმი კვდებოდა. მაგრამ იგი ცოცხლობს და ყვავის. დღეს მოდაშია ლაპარაკი ევროპის ცივილიზაციის გაკოტრებაზე. ხოლო ევროპა დასძლევს დღევანდელ კრიზისს თუ მას თავისთავის რწმენა აქვს და მზადაა იბრძოლოს თავის არსებობისათვის. კაპიტალიზმს არ შეუგნია თავის განსაცდელი, თორემ მხარს არ და უჭერდა დაუძინებელს მტერს ბოლშევიზმს კრედიტებით, შეკვეთებით და სხ. ბეცია სოციალიზმიც, რომლის ზოგი მეთაური ფიქრობს, რომ შესაძლებელია მესამე და მეორე ინტერნაციონალების გაერთიანება. მათ არ ესმით, რომ კომუნიზმის პირველი მსხვერპლი სოცილიზმი იქნებოდა. ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი უძლურნი არიან და მოკლებულნი იდეას. მხოლოდ ევროპის ძლიერ განმათავისუფლებელ მოძრაობას შეუძლია ევროპიულ ცივილიზაციის ტრადიციების დაცვა. ევროპის გაერთიანების იდეას უაღრესი მნიშვნელობა აქვს ბოლშევიკური საფრხეს წინააამდეგ.

კუდენგოვე—კალერგი ამტკიცებს, რომ დღევანდელს ბოლშევიზმს არაფერი აქვს საერთო არც მარქსიზმთან, არც კომუნიზმთან. ევროპაში დღედის მოელიან, რომ რუსეთში კონტრრევოლუცია მოხდება. ხოლო ნამდვილად ეს კონტრრევოლუცია დიდი ხანია დაწყებულია და მისი ნაპალეონი არის სტალინი. ეს «მთავარი დირექტორი სახელმწიფო კაპიტალიზმისა». ბრძოლა ტროცკისა და სტალინს შორის იყო ბრძოლა რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის. გაიმარჯვა სტალინმა. მთელი ქვეყნის კომუნისტებს ჰგონიათ, რომ ხუთ წლიანი გეგმის განხორციელება მოასწავებს კომუნიზმის გამარჯვებას კაპიტალიზმზე. ნამდვილად პირიქით ეს იქნება კაპიტალიზმის გამარჯვება კომუნიზმზე. საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე ერთსა და იმავე დროს მოსამსახურეცაა და აქციონერიც სახელმწიფოს გიგანტურ ტრესტის, ხოლო ეს ტრესტი დივიდენდს არ იძლევა. მეტიც: მოსამსახურენი იძულებულნი არიან თავის შრომის ქირის ნაწილი ტრესტის კასაში შეიტანონ. ის დახმარება, რომელსაც უმუშევარი გერმანიაში იღებს, გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე საბჭოთა მუშის ხელფასი. სტალინი დღეს უდიდესი კაცია დედამიწაზე: იგი კომუნისტური ეკლესიის პაპიცაა, მეფეც და საბჭოთა ტრესტის დირექტორიც.

* * *

ცნობილი გერმანელი პუბლიცისტი კლეინოვი ეხება საყურადღებო საგანს გერმანიის ორიენტაციის შესახებ და ამტკიცებს, რომ ეს ორიენტაცია არ უნდა იყოს არც აღმოსავლეთისკენ (მოსკოვისკენ) არც დასავლეთისკენ, არამედ გერმანიას უნდა ჰქონდეს საკუთარი თავის ორიენტაცია. კერძოდ არკვევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთ-გერმანიის დაახლოვებას და იმას დაასკვნის, რომ საბჭოებთან დაახლოვებამ გერმანიას არაფერი მოუტანა. «რაპალოს ხელშეკრულების შემდეგ—სწერს კლეინოვი—საბჭოთა მთავრობას არ გადაუდგამს ერთი ნაბიჯი, რომ დახმარებოდა გერმანიას მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელად. შემთხვევითს საერთო გამოსვლებს განიარაღების საკითხში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. პირიქით ბოლშევიკური ხელისუფლება სარგებლობდა ყოველ გარემოებას, რომ თავის ეკონომიურ ზომებით, პოლიტიკურ პროპაგანდით და სამრეწველო შპიონაჟით დაეუძლურებინა გერმანია. წელს მიცემული შეკვეთილები ისეთი პირობით იყო, რომ მათი მიღება არ შეეძლო არც ერთს სახელმწიფოს, ხოლო ამ ჟამად, როცა თავს ესხმიან გერმანიის ვალიუტას, მოსკოვში მარტო იმას ფიქრობენ, თუ როგორ შეუწყონ ხელი ცენტრალურ ევროპის გარეოლუციონერებას»

კლეინოვი სხვათა შორის ეხება ინტერვენციას ბოლშევიკების წინამდეგ და გადაჭრით გმობს მას. ხოლო თან დასძენს: «მე ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ასეთი შეხედულება სამუდამოთ უცვლელი დარჩება. თუ ბოლშევიკები ასე გააგრძელებენ მათ მიერ დამონებული ერების უფლების ჩაგვრას და წინააღუდგებიან კვლავ კაცობრიობის მისწრაფებას კეთილდღეობისა და მშვიდობიანობისაკენ, მაშინ შეიძლება სრულიად შეიცვალოს მდგომარეობა».

* * *

ბოლშევიკების გერმანელი მეგობრები სულ იმას გაყვირიან, რომ საბჭოები დღეს დიდ ეკონომიურ დახმარებას უწევენ გერმანიას. მათ საპასუხოთ გერ. სოც. დემოკრატიულ «ფორვერტს» მოყავს სათანადო ციფრები, საიდანაც ნათლად სჩანს, რომ უკანასკნელ ექვსი წლის განმავლობაში გერმანიას უფრო მეტი უყიდია რუსეთისაგან, ვიდრე მიუყიდია მისთვის. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლშევიკების შეკეეთებმა გასულ წელს ძლივს მიაღწიეს იმ დონეს, რომელიც არსებობდა 1909 წელს. რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ურთიერთობას ახასიათებს ის, რომ დღეს რუსეთი ყიდულობს გერმანიაში ნაკლებს, ვიდრე ომამდე და რასაც ყიდულობს, ყიდულობს გრძელვადიანი სესხით. გაზეთი თავას წერილს ასე ათავებს: «გერმანიის საერთო ექსპორტში საბჭოებს უკავიათ მეთერთმეტე ადგილი, ინგლისმა იყიდა 1930 წ. გერმანიაში საქონელი სამჯერ მეტი, ვიდრე რუსეთმა. ასევე სამჯერ მეტივე იყიდი პატაჰოლანდიამ. და ნუ თუ ამის გამო ვინმე უნდა გამოვიდეს და შეაქოს ჰოლანდიელები, რომ ისინი არაჩვეულებრივი ხალხია, როგორც ამას სჩადიან ჩვენი კომუნისტები და მოკომუნისტე ელემენტები საბჭოთა შესახებ»?

* * *

მიუხედავად იმისა, რომ ევროპიულ პრესაში ხშირად შეხვდებით ბოლშევიზმის საღსა და სწორს შეფასებას, მაინც უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ მრავალია პოლიტიკურ თუ ჟურნალისტურ მოღვაწეთა შორის, რომლებიც ან სრულებით ინდიფერენტულად უყურებენ ბოლშევიკურ მოძრაობას ან თანაუგრძნობენ და ქომაგობენ კიდეც აშკარად თუ ფარულად. უნდა ითქვას სამწუხაროთ, რომ ბოლშეიკებს ბევრი ჰყავთ დამცველი მემარცხენე წრეებში, განსაკუთრებით უკანასკნელ დროს კიდევ უფრო დაეტყოთ მათ გადახრა ბოლშევიკებისაკენ. სოც. ინტერნაციონალის ზოგერთი ლიდერი, წინად რომ გაბედულად ებრძოდა კომუნიზმს, დღეს მასთან მორიგებას მოითხოვს. ოტო ბაუერი შეეცადა კიდეც გაემართლებინა ბოლშევიკური მეთოდი და ისიც კი სთქვა, ჩვენც შეიძლება მივმართოთ მას, თუ ბურჟუაზიამ გვაიძულაო. გერმანიის სოც. დემოკრატიას მოწყდა ერთი ფრთა, თუმცა მცირედი, რომელიც მეტად მოიკომუნისტებს. ინგლისის მუშათა პარტიაშაც გაჩნდენ ასეთები. საფრანგეთის სოციალისტების უმრავლესობა, თუმცა ფორმალურად განაგრძობს ბრძოლას ბოლშეეიკებთან, მაგრამ არ სებითად ძლიერ უახლოვდება მას თავის რწმენით და მიმართულებით.

დიდი სოციალისტური მოაზროვნის და მოღვაწის კაუცკის შეხედულება, რომ ბოლშევიზმი უდიდესი რეაქციაა და მას უნდა ვებრძოლოთ ყოველი ღონითო—ამ შეხედულებას, მისი ამხანაგების უმრავლესობა ჯერ კიდევ არ იზიარებს. მაგრამ ანტიკომუნისტური სოციალისტებიც საკმაოთ ძლიერნი არიან და მედგარ ბრძოლას აწარმოებენ. ასეთია სხვათა შორის, ფრანგული სოც. «ლა ვი სოც.», რომელიც ამა წინად შეეხო საფრანგეთის მომავალ საპარლამენტო არჩევნებს და კატეგორიულათ მოითხოვს, რომ არჩევნებმის დროს სოციალისტები დაუზოგავათ უნდა გამოვიდენ კომუნისტების წინაამდეგ, რომლებიც არიან უკიდურესი დამცველნი რეაქციის და რომლებიც ყოველ თავის მოქმედებით მხოლოდ იმის ცდაში არიან, რომ რეაქცია გაბატონდეს საფრანგეთში.

წერილი პრაღიდან

აქაური პრესა ფართოთ გამოეხმაურა საქართველოში ამ ჟამად დატრიალებულ ამბებს. მთელმა რიგმა სოც. და დემოკრატიულმა გაზეთებმა და მთავრობის ორგანოებმა მოათავსეს აჯანყების ამბები საქართველოში და საერთოთ კავკასიაში, სომხეთში და ადერბეიჯანში. დავასახელებთ უმთავრეს მათგანს. «პრავო ლიდუმ» ცენტ. ორგანო ჩეხოსლოვაკ. სოც. დემოკრ. პარტიისა—მოათავსა ცნობები სათაურით—«დახვრეტა ქართველ რევოლიუციონერებისა», «ნაროდნი პოლიტიკა»—უპარტიო. დემოკრატ. ორგანო, მილიონნი ტირიჟით—«ქათული პრესს ბიურო გვატყობინებს აჯანყებას საბჭოების წინაამდეგ», «ლიდოვი ლისტი»—ცენტრალური ორგანო კათოლიკური პარტიისა—ბოლშევიკებს უნდათ მასიური ხვრეტით გასტეხონ საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობა. «ნაროდნი ლისტი»—ცენტრალური ორგანო ეროვნულ დემოკრატიული პარტიისა—სამოთხე საბჭოთა საქართველოში და სომხეთში. ყველა ამ გაზეთებმა აღნიშნეს, რომ დახვრეტილთა სია და მასიურათ გადასახლებუ-

ლთა იმყოფება პრაღის ქართველთა კოლონიაში, გადმოგზავნილია ის პარიზიდან ქართველების წარმომადგენლებისაგანო. აღნიშნეს აგრეთვე საქართველოს მინისტრის რამიშვილის მკვლელის ქონების გადაწვა და განადგურება. «ჩვენ ცნობებს კომენტარიები არ სჭირია, აი როგორ ცხოვრობს საბჭოთა კავშირში ხალხი და მუშათა კლასიო»—თავდება გაზეთებში მოთავსებული ცნობები. ადგილობრივმა პოლიტბიურომ და მისმა ცენტრალურმა ორგანომ დაიგუბეს პირში წყალი და არც ერთი სტრიქონი არ მოუთავსებიათ ამ ცნობების უარსაყოფათ. ამათ ჯერ მოსკოვიდან არავითარი დირექტივა არ აქვთ.

ჩეხოსლოვაკიის სოც. დემოკრ. პარტიამ გასულ აგვასტოში .იდღესასწაულა 60 წლის თავი მისი ერთ-ერთი ბელადის, დღევანდელი სენატის თავმჯდომარის დრ. ფრ. სოუკუპის. ამ იუბილეს გამოეხმაურა როგორც მთელი სოციალისტური ინტერნაციონალი დაწყებული კარლ კაუცკიდან, ისე მთელი დემოკრატია ჩეხოსლოვაკიის დაწყებული პრეზიდენტი მასარიკიდან, გათავებული ქარხნის უბრალო მუშით ან რკინის გზის დარაჯით. რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში გაიმართა საზეიმო კრებები იუბილიარის თანადასწრებით. აღინიშნა ვრცლათ და დაფასდა სოუკუპის 40 წლის მოღვაწეობა ჩეხოსლოვაკიისათვის და მისი თითქმის 30 წლის შეუწყვეტელი მუშაობა სოციალისტურ ინტერნაციონალში...

სოუკუპი იზიარებს მასარიკის პროგრამას და მთელი პარტია ომის განმავლობაში თანდათან სდგება მასარიკის თვალსაზრიზზე და მის გარშემო იყრის თავს, როგორც შინ, ისე საზღვარგარეთ ლეგიონების სახით. შედეგი ვიცით—დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკია, ერთი ყველაზე უფრო დემოკრატიული და სტაბილური სახელმწიფოა დღეს ევროპაში, მასარიკი მისი პრეზიდენტია, სოუკუპი სენატის თავმჯდომარე და უკანასკნელ კონგრესის შემდეგ ვენაში ეს—ერთ დროს შოვინისტათ მონათლული სოციალისტი—ეკზეკუტივის ბიუროს წევრათაც იქნა არჩეული.

ჩვენი ქვეენის დაპყრობის შემდეგ, სოუკუპი ეცნობა საფუძვლიანათ საქართველოს დღევანდელ ვითარებას, დგება გადაჭრით დაპყრობილი პატარა ერის მხარეზე. ის ეკუთვნის იმ კეთილშობილ მოღვაწეთა რიცხვს, რომელსაც საქართველოს მოძრაობაზე და მის მეთაურებზე არ შეუცვლია .აზრი, მიუხედავათ ზოგიერთების ცდისა მიეყენებიათ ვნება ჩვენი საქმისათვის, ის სრულიად იწონებს ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობის საერთო დემოკრატიულ ფრონტს და სხვანაირი ხაზი თქვენი საქმისათვის განწირული იქნებოდაო—არა ერთხელ განუცხადებია მას. ერთმა დემოკრატიულმა ფრონტმა შინ და გარეთ ჩვენ მიგვიყვანა დამოუკიდებლობამდისო. სოუკუპი ხშირათ საჯარო კრებებზე თუ კერძო ლაპარაკში მოკლეთ, ორი სიტყვით, პარალელის მოყვანით აცნობს მსმენელებს, თუ რა ბედშია საქართველო და საით და ან რა ძალებით იბრძვის ის. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, ამბობს ის—უდრის ჩვენს მდგომარეობას ავსტრიაში ომის დროს. ჟორდანია—ეს არის ქართველებისათვის, რაც ჩვენთვის იყო და არის მასარიკი, მის გარშემო შემოკრებილია მთელი ქარველი ერი. საქართველო ეს უმშვენიერესი და უკულტურესი ქვეყანაა კავკასიაში და განთავისუფლდება თუ არა ის, ჩვენ გვექნება მასთან მჭიდრო კავშირიო, ადგილობრივი კომ. პოლიტბიურო მას ირონიით უძახის «სპეცს» ქართულ საკითხში. მართალი იყო ვ. ჩერნოვი, როცა მან საიუბილეო წერილში დაარქვა მას ცოცხალი სინდისი სოციალიზმის—და განმარტა: უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე სოუკუპის გამოსვლა და მხარის დაჭერა ქართველების ბრძოლისათვის, როცა მას ვხედავ ქართველების კრებებზეო. ამიტომ სრულიათ ბუნებრივი იყო, რომ ქართველი ემიგრანტები პრაღაში მთელი არსებით გამოეხმაურენ ამ ჩვენი მეგობრის იუბილეს და აშკარათ, საჯაროთ უთხრეს მას, თუ როგორია დამოკიდებულება მისდამი ქართველი მებრძოლი ერის.

ჩეხიის მთავარ საზეიმო კომისის სურვილი იყო, რომ ყველა ერის ემიგრანტ მეგობრებისათვის ცალკე დაენიშნა დღე იუბილიარის პატივსაცემათ ქართველების მეთაურობით და ინიციატივით. ამიტომ საზეიმო კომისიაში მიწვეული იყო ჩვენის მხრით ემ. ლომთათიძე; გაიმართა ასეთი საღამო ქართველი, რუსის, უკრაინელის, სომხის და ბელორუსის მეგობრების მონაწილეობით.

ქართველებიდან პირველათ იუბილიარს სიტყვა უთხრეს და მიულოცეს ემ. ლომთათიძემ და ინქ. უბირიამ; არ. ემუხვარმა ქართველების სახელით მიართვა მას ძვირფასი ყდით ალბომი შესაფერი წარწერის წაკითხვით—საქარდველოს დიდ მეგობარს და სხვ., ექ. ლიდა უბირიამ უძღვნა გობელენი მოქარგული თეთრი გიორგით—ჩვენი გერბით. აქ კი იუბილიარმა ვეღარ გაუძლო მოზღვავებულ გრძნობებს, თვალები გაევსო ცრემლებით, აატრიალა ხელში მიძღვნილი და იმეორებდა—«საქართველო, მშვენიერი საქართველო, ჩვენი საქართველო». ზეიმის დასრულების შემდეგ მისი სამადლობელი სიტყვა ხომ კიდევ ერთხელ იყო ხაზგასმა მისი სიმპატიის და ერთგულების ჩვენი ქვეყნის მიმართ. გამოვიდა საუბილეო ალმანახი რამდენიმე ასეული გვერდისაგან შემდგარი, სადაც მოთავსებულია წერილები სხვადასხვა პარტიების, პოლიტიკური მოღვაწეების და მისი პირადი მეგობრების. მოთავსებულია წერილი ემ. ლომთათიძის, რომელიც აღნიშნავს რა სოუკუპის ბევრ გამოჩენილ და იშვიათ თვისებებს, ათავებს თავის წერილს შემდეგი სიტყვებით: «ნვენი კეთილი მეგობარი ფრ. სოუკუპი არის ამავე დროს დამაარსებელი და თავმჯდომარე «საქართველოს დაცვის კომიტეტის ჩეხოსლოვაკიაში». დაინგრევა საბედისწერო კედელი, რომელიც აღმართულია საქართველოს და ევროპას შორის და ეს საზოგადოება ითამაშებს უდიდეს როლს დაახლოვებაში და ძმური ურთიერთობის შექმნაში ამ ორ დემოკრატიულ სახელმწიფოს შორის. ეს კი იქნება მუდამ დაკავშირებული ჩვენი ძვირფასი მეგობრის დრ. ფრ. სოუკუპის სახელთან».

ელ.

საქართველოს საკითხი

ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში პარიზში გაიმბრთა განიარაღების კონგრესი, რომელსაც ქართველმა და უკრაინელმა დელეგატებმა წარადგინეს დეკლარაცია მათი ქვეყნების ბოლშევიკების მიერ ძალიუ დაკავების შესახებ. დეკლარაციას მოვათავსებთ შემდეგ ნომერში.

საქართველოს ამბები

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ექვსი თვეა თფილისში არსად იშოვება გასაყიდად კბილის ჩოთქები.

— აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა ჩაიშალა ჭიის დაღუპვის გამო. ჭია დაიღუპა მოუველლობით. ქუთაისში შემოდგომის კვებისათვის ინკუბატორებში მოთავსებული იყო 2010 კოლოფი თესლი, რომლისაგან გამოიჩიკა მხოლოდ 1185 კოლოფი, და დაურიგდა მეაბრეშუმეებს. მაგრამ სამი მეოთხედი (850) დაიღუპა ავადმყოფობისაგან, რომლის გამორკვევა ვერ მოხერხდა. გეგმით უნდა დამზადებულიყო 19360 კილგ. პარკი, ნამდვილად კი დამზადდა 800 კოლოფი.

—ოკტომბრის 18 ხარკოვის საოპერო თეატრში უკრაინულ ენაზე დადგეს პ. ფალიაშვილის «აბესალომ და ეთერი».

—საქართველოს მუზეუმის ექსპედიციამ სვანეთში აღმოაჩინა 121 ხელნაწერი, რომლებიც ეკუთვნიან ძველი ქართული მწერლობის სხვადასხვა პერიოდს. ნაპოვნ ძეგლთა შორის არის მე8-9 საუკუნის პოლიმფსესტები, რომელთა შორის არის საკანონმდებლო ხასიათის დადგენილებანი სრულიად სვანეთის კრებისა, რომელიც მოწვეული ყოფილა მე 14 ს. მოიპოვებიან აგრეთვე დადგენილებანი და ხელშეკრულებანი ცალკე თემებს შორის და კერძო აქტები, რომლებიც ახასიათებენ სვანეთის ძველი ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს. აღმოჩენილი დოკუმენტები ეკუთვნიან მე 13-17 ს. ს. დოკუმენტები შესწავლილ და გადმოღებულ იქნა და მზადდება გამოსაცემად. აღმოჩენილ წარწერების შესწავლას და ეპიგრაფიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კერძოთ ქართული ხელოვნებისათვის. ამ წარწერების საშვალებით გამოირკვა ვინაობა ძველ ქართველ ხელოვანთა, მხატვართა, ოქროს მქანდაკებელთა და სხ. *)

*) მოგვყავს ეს ცნობა «კომუნისტიდან», მაგრამ ვფიქრობთ რომ ბოლშევიკების აღმოჩენილი საბუთები უკვე აღმოჩენილი იყო ბ. ექ. თაყაიშვილის მიერ და აწერილი, ხოლო არ ყოფილა გამოცემული.

რედაქცია.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო ბატონო რედაქტორო,

უმორჩილესად გთხოვთ დაგვიბეჭდოთ «ტუბერკულოზით ავადმყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტის» 17 ოქტომბრის საღამოს ანგარიში, რისთვისაც წინასწარ მადლობას მოგახსენებთ.

შემოსავალი:

კერძო პირთა შემოწირულება	ფრ. 4.700	
ბილეთები	2.880	
ლოტარია	2.460	
ბუფეტი	4.166	
ვესტიერი	135	14.341

გასავალი:

დარბაზი	1.500	
ორკესტრი და თარი	1.500	
სასმელები	1.205.60	
მაგიდების, სკამ. და ჭურჭ. ქირა	601.45	
სანოვაგე, ბილეთების დაბ. და სხ.	2.323.65	7.140.70
		წმინდა შემოსავალი 7.200.30

კომიტეტი განსაკუთრებულს მადლობას უძღვნის ლედი დეტერდინგს მისი უხვი შემოწირულებისა და მონაწილეობისათვის.

აგრეთვე კომიტეტი მადლობას სწირავს შემდეგ პირთ, რომელთაც დახმარება აღმოუჩინეს პირადის შრომით ან შემოწირულებით: კნ. თ. დადიანისა, თ. ბარტონი, ქ. მიცუკი, ლ. მამულაიშვილის ოჯახობა, მ. ღოღობერიძე, მ. კემულარია, ე. არდიშვილი-არტიფექსოვისა. ა. ბერიძისა, ე. ანთაძე-პერრიე, ნ. ჯაფარიძისა, თ. რუხაძისა, მ. გვარჯალაძე, თ. ჯაფარიძე, გ. და მ. გეგეჭკორი.

ბ-ნნი: ალ. ჯაყელი, გრ. ბერიძე, გ. მაჩაბელი, ლ. ბალანჩივაძე, დ. ფერაძე, მ. კედია, შ. ნიკოლაძე. ა. ერისთავი, ივ. ჯავახიშვილი, კ. ყურული, ი. ჯაფარიძე, გ. მოდებაძე, გ. ერისთავი.

საღამოს მოწყობაში და შემოწირულებათა შეკრებაში დიდი სამსახური მიუძღვის კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგს თ. ერისთვისას.

კომიტეტი მადლობას უძღვნის მხატვარს ბილანიშვილს თვისი ნახატების შემოწირვისა და მუდმივი დახმარებისათვის.

კომიტეტის თავმჯდომ.: ელ. აფხაზისა.
მოლარე: ელ. დეკანოზისა.

—

ტუბერკულოზით ავადმყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტმა მიიღო ბ-ნ და ქ-ნ აბაშიძეთაგან 500 ფრანკი. კომიტეტი დიდ მადლობას სწირავს მათ მუდმივი დახმარებისათვის.

დასაბეჭდი წერილები, ფული და სხვა უნდა გამოგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r OURATADZE
10. rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.